სახელმწიფო სარეგისტრაციო
კოდი 010.240.030.22.027.010.463

# საქართველოს იუსტიციის მინისტრის

**ბრძანება №174**

**2007 წლის 15 ივნისი**

**ქ. თბილისი**

## დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ

,,ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“.

2. ეთხოვოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს, ორგანიზაცია გაუწიონ ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების“ პრაქტიკაში დანერგვას და უზრუნველყონ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებით შენახვის ორგანიზაციის გაუმჯობესება.

3. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, პოლიტიკურმა გაერთიანებებმა და კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა, რომლებთანაც დაცულია სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები, იხელმძღვანელონ ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესებით“ დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღწერის, აღრიცხვისა და გამოყენების ნაწილში.

4. საქართველოს ეროვნულმა არქივმა (თ. იაშვილი):

ა) 2007-2008 წლების განმავლობაში ორგანიზაცია გაუწიოს ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების“ შესწავლას როგორც საარქივო დაწესებულებათა, ასევე სხვა არქივებისა და საქმისწარმოების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების სამსახურების მუშაკთა მიერ;

ბ) უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურებში დაცული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღრიცხვის, დაცვისა და შენახვისადმი.

5. ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გ. ქავთარაძე**

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივი

## დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები

### შესავალი

1. ,,ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ,,სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე ის დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები[1], რომლებიც თავიანთი საქმიანობის პროცესში ქმნიან ეროვნული საარქივო ფონდისათვის გადასაცემად განკუთვნილ დოკუმენტებს (მათ შორის, საიდუმლო დოკუმენტებს), ვალდებულნი არიან უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის პროცესში შექმნილი ყველა დოკუმენტის დაცვა, შენახვა, დამუშავება, აღრიცხვა და განსაზღვრულ ვადებში მათთვის შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარება საქმისწარმოებისა და დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესაბამისად, რომლებსაც

[1] შემდგომში ნაცვლად სიტყვებისა ,,სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები“ იხმარება სიტყვა ,,დაწესებულებები“.

ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი“. დაწესებულებათა მუშაობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტაცია ასახავს მატერიალური წარმოების, მეცნიერების, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში მოქალაქეთა საქმიანობის, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების სხვადასხვა მხარეს. ინფორმაცია, რომელსაც ეს დოკუმენტაცია მოიცავს, დოკუმენტური ხსოვნაა თანამედროვე ეტაპზე ქართველი ხალხის საქმიანობის შესახებ და ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს. დაწესებულებათა დოკუმენტები შესაბამისი შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ შეიტანება ეროვნული საარქივო ფონდის შემადგენლობაში და შემდგომში სახელმწიფო შენახვისათვის გადაიცემა.

2. ამავე კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, ,,ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებით შენახვის მიზნით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრეთვე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურაში შეიძლება შეიქმნას დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი, ან მათი შენახვა დაევალოს რომელიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფს. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები ინახება ეროვნული არქივის მიერ შემუშავებული და (საქართველოს იუსტიციის) მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესების შესაბამისად... სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვა და დაცვა შესაბამისად ეროვნული არქივისა და მისი ტერიტორიული ორგანოების – ადგილობრივი არქივებისათვის მათ გადაცემამდე.“. დაწესებულებათა არქივები ან ის სტრუქტურული ქვედანაყოფები და შესაბამისი პირები, რომლებსაც დაევალათ დაწესებულებებში საარქივო საქმის წარმართვა, ასრულებენ დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციებს.

3. ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“ ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს მათ საქმიანობას. წესები შედგენილია ინფორმაციის, საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის დარგში მოქმედი სამართლებრივი ბაზის საფუძველზე. იგი ითვალისწინებს სამამულო საარქივო საქმის გამოცდილებას, დოკუმენტებზე მუშაობის თანამედროვე მიღწევებს ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

4. წინამდებარე წესები ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებათა არქივებზე, იგი აგრეთვე სავალდებულოა სხვა იურიდიული პირების არქივებისათვისაც, განურჩევლად საკუთრების ფორმისა, სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვის, აღწერისა და გამოყენების ნაწილში.

5. წინამდებარე წესებით ხელმძღვანელობენ აგრეთვე დაწესებულებათა არქივები, რომლებშიც ინახება კინო-, ფოტო-, ფონო და ვიდეოდოკუმენტები (აუდიოვიზუალური), სამეცნიერო-ტექნიკური, კარტოგრაფიული, ტელემეტრული დოკუმენტები მათში დაცულ მმართველობით დოკუმენტებზე მეთოდიკური მუშაობის, ორგანიზაციის, დაგეგმვის, ანგარიშგების ნაწილში; ხოლო ზემოაღნიშნულ დოკუმენტებზე მუშაობა რეგლამენტირებულია შესაბამისი ინსტრუქციებითა და წესებით.

6. სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფო არქივების დაკომპლექტების წყაროს, აგრეთვე სხვა იურიდიულ პირებს, განურჩევლად საკუთრების ფორმისა, შეუძლიათ იხელმძღვანელონ წინამდებარე წესებით თავიანთი არქივების ორგანიზებისა და მუშაობის უზრუნველსაყოფად.

7. წესებს თან ერთვის დოკუმენტების ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ არქივის მუშაობას.

8. ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“ მომზადებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ, რომელიც ,,ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: ,,საქართველოში საარქივო საქმეს მართავს და საქმისწარმოების სრულყოფასა და ეროვნული საარქივო ფონდის განვითარებას უზრუნველყოფს.“. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად: ,,ეროვნულ არქივს აქვს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების (მათ შორის, ეროვნულ საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების) აღრიცხვის, დაცვისა და შენახვის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის უფლება, განურჩევლად მათი შენახვის

ადგილისა... ეროვნული არქივი ახორციელებს საქმისწარმოებაში არსებული წესების დაცვის კონტროლს და ზედამხედველობს ამ კანონის შესრულებას.“.

9. „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები“ მოწონებულია ეროვნული არქივის ცენტრალური საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ 2007 წლის 16 მარტს.

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. დაწესებულების არქივის ცნება**

1. სახელმწიფო საკუთრების ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები სახელმწიფო შესანახად გადაცემამდე დროებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი ზღვრული ვადების გასვლამდე, ინახება დაწესებულებაში.

2. ა) სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან ან დაკომპლექტების სხვა წყაროებიდან საარქივო დოკუმენტების დროული მიღების, წინამდებარე წესების შესაბამისად მათი აღრიცხვის, დაცვის უზრუნველყოფის, მოწესრიგების, გამოყენებისა და მუდმივი შენახვისათვის გადასაცემად მომზადების მიზნით დაწესებულებაში იქმნება არქივი.

ბ) დოკუმენტების მოცულობის მიხედვით არქივი იქმნება როგორც დაწესებულების დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი ან ქვედანაყოფი სხვა სამსახურის შემადგენლობაში, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების მიღებასა და შენახვას გამოყენების მიზნით.

3. დაწესებულება არქივს უზრუნველყოფს ცალკე სათავსით, მოწყობილობითა და კადრებით.

4. დაწესებულების თანამდებობის პირები პასუხს აგებენ წინამდებარე წესებით დადგენილი ნორმების დარღვევაზე.

**მუხლი 2. არქივების სახეობები**

1. დაწესებულების კომპეტენციის (ფუნქციების) მიხედვით შეიძლება შეიქმნას არქივების შემდეგი სახეობები:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ცენტრალური არქივი, რომელშიც დაცულია ხელისუფლების ორგანოს აპარატის, მისი უშუალო დაქვემდებარებისა და იმ სხვა დაწესებულებების დოკუმენტები, რომლებიც შეტანილია ხელისუფლების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულ არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებების სიაში;

ბ) ცენტრალური დარგობრივი არქივი, რომელშიც დაცულია განსაზღვრული დარგის ყველა დონის დაქვემდებარების ყველა დაწესებულების დოკუმენტები, განურჩევლად მათი ტერიტორიული განლაგებისა;

გ) გაერთიანებული არქივი, რომელშიც დაცულია დარგის თანადაქვემდებარების სისტემით დაკავშირებული ან საქმიანობის პროფილის მიხედვით ერთი ტიპის რამდენიმე დაწესებულების დოკუმენტები;

დ) დაწესებულების არქივი, რომელშიც დაცულია მხოლოდ ამ დაწესებულების და მისი წინამორბედების დოკუმენტები.

2. არქივში დაცული დოკუმენტაციის შემადგენლობის მიხედვით შეიძლება შეიქმნას შემდეგი სახის არქივები:

ა) მმართველობითი დოკუმენტაციის;

ბ) სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის;

გ) აუდიოვიზუალური დოკუმენტაციის;

დ) დოკუმენტაციის ელექტრონულ მატარებლებზე.

3. არქივები, რომელთა დოკუმენტების შემადგენლობა განპირობებულია ინფორმაციის ჩაწერის წესითა და მატარებლით, შეიძლება იყოს როგორც დამოუკიდებელი ერთეულები ან როგორც დაწესებულების არქივის სტრუქტურული ქვედანაყოფები.

**მუხლი 3. არქივების ძირითადი ამოცანები და ფუნქციები**

1. დაწესებულების არქივის ძირითადი ამოცანებია:

ა) არქივის დაკომპლექტება იმ დოკუმენტებით, რომელთა შემადგენლობა გათვალისწინებულია არქივის დებულებით;

ბ) დოკუმენტების აღრიცხვა და დაცვის უზრუნველყოფა;
გ) არქივის დოკუმენტების სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნა;
დ) არქივში დაცული დოკუმენტების გამოყენება;
ე) ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების სახელმწიფო შენახვისათვის გადასაცემად მომზადება და გადაცემა შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ვადების და მოთხოვნების შესაბამისად.

2. იმ დაწესებულებათა არქივების ძირითადი ამოცანები, რომლებიც ახორციელებენ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებით დეპოზიტურ შენახვას, განისაზღვრება მათ მიერ საარქივო დაწესებულებებთან დადებული შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების შესაბამისად.

3. ძირითადი ამოცანების შესრულების მიზნით არქივი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
ა) აწარმოებს არქივის წყარო-დაწესებულებების სიებს;
ბ) ღებულობს დაწესებულებების სტრუქტურული ქვედანაყოფების და არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებების დოკუმენტებს მოწესრიგებული სახით;
გ) აღრიცხავს არქივში მიღებულ დოკუმენტებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას;
დ) ქმნის და სისტემატურად აუმჯობესებს არქივის დოკუმენტების სამეცნიერო-საცნობარო აპარატს;
ე) ორგანიზაციას უწევს დაწესებულების ხელმძღვანელებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საინფორმაციო მომსახურებას; ახორციელებს დაწესებულებებისა და მოქალაქეთა შეკითხვებთან დაკავშირებულ საარქივო მომსახურებას; აწარმოებს დოკუმენტების გამოყენების აღრიცხვასა და ანალიზს;
ვ) ატარებს დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას და ახორციელებს საორგანიზაციო და მეთოდიკური ღონისძიებების კომპლექსს დოკუმენტების მუდმივი შენახვისათვის გადასაცემად;
ზ) ახორციელებს საქმეთა ფორმირებისა და გაფორმების სისწორის შემოწმებას დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებებში;
თ) ორგანიზაციას უწევს დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შედგენის სამუშაოს;
ი) მეთოდიკურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს დოკუმენტებზე მუშაობისას;
კ) მონაწილეობს მეთოდიკური დოკუმენტების შემუშავებაში საარქივო საქმისა და საქმისწარმოების დარგში;
ლ) მონაწილეობს არქივისა და საქმისწარმოების სამსახურის, მათ შორის, არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებების, მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩატარებაში.

4. ა) დაწესებულებათა არქივები ახორციელებენ ელექტრონული დოკუმენტების მიღებას, უზრუნველყოფენ მათ დაცვას, აღრიცხვას, შერჩევასა და გამოყენებას, აგრეთვე სახელმწიფო შესანახად მომზადებასა და გადაცემას. ელექტრონული დოკუმენტები შესანახად გადაიცემა არქივების დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა ფონდების შემადგენლობაში.
ბ) ყველა ოპერაცია, რომელიც ხორციელდება ელექტრონულ დოკუმენტებზე საარქივო შესანახად გადაცემისას და შენახვის პროცესში (ხელახალი ჩაწერა, ახალ ფორმატებში კონვერსია, შეკუმშვა და სხვ.), უნდა იქნეს დოკუმენტირებული ელექტრონული დოკუმენტების ავთენტიკურობის უზრუნველსაყოფად.

**მუხლი 4. არქივის უფლებები**

ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისათვის დაწესებულების არქივს უფლება აქვს:

1. მოსთხოვოს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს დროულად გადასცენ არქივს დოკუმენტები მოწესრიგებულ მდგომარეობაში.
2. აკონტროლოს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებებში დოკუმენტებზე მუშაობის წესები.
3. გამოითხოვოს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებებისაგან არქივის მუშაობისათვის საჭირო ცნობები.

4. მიიღოს მონაწილეობა ეროვნული არქივისა და მისი ტერიტორიული ორგანოების – ადგილობრივი არქივების მიერ საარქივო საქმისა და საქმისწარმოების საკითხებზე ჩასატარებელ ღონისძიებებში.

**მუხლი 5. დაწესებულების არქივის დაკომპლექტება**

1. დაწესებულების არქივის დაკომპლექტება არის დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან, აგრეთვე არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებებიდან დოკუმენტებით არქივის სისტემატური შევსება.

2. არქივის დაკომპლექტება შეიცავს:

ა) არქივის დაკომპლექტების წყაროების განსაზღვრას;

ბ) არქივში მისაღები დოკუმენტების შემადგენლობის განსაზღვრას;

გ) არქივში დოკუმენტების ჩაბარების ორგანიზაციას.

**მუხლი 6. არქივის დაკომპლეტების წყაროები**

დაწესებულების არქივის დაკომპლექტების ძირითადი წყაროებია:

1. დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფები;

2. საქვეუწყებო დაწესებულებები;

3. ფიზიკური პირები.

**მუხლი 7. არქივში ჩასაბარებელი დოკუმენტების შემადგენლობა**

1. დაწესებულების არქივი მისი დებულების შესაბამისად კომპლექტდება მუდმივად, ხანგრძლივად შესანახი, აგრეთვე პირადი შემადგენლობის საქმეებით.

2. დროებითი შესანახი საქმეები შენახვის ვადებით 10 წლის ჩათვლით, როგორც წესი, დაწესებულების არქივში არ ბარდება. ისინი ინახება დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში და შენახვის ვადების გასვლის შემდეგ ნადგურდება (იხ. მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი).

3. პირადი წარმოშობის დოკუმენტები დაწესებულების არქივს გადაეცემა დროებით შესანახად მათი მფლობელის (მესაკუთრის) განცხადების მიხედვით, შემდგომი გადაცემით საარქივო დაწესებულებებში მუდმივ შესანახად.

4. არქივს გადაეცემა წინამორბედი დაწესებულებების, აგრეთვე ლიკვიდირებული დაქვემდებარებული დაწესებულებების დოკუმენტები.

**მუხლი 8. არქივის პასუხისმგებლობა**

არქივი კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს:

1. დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის პირობების დარღვევისათვის;

2. დოკუმენტების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების, გადამალვის, განადგურების, დაზიანებისა და დაკარგვისათვის;

3. დოკუმენტების გამოყენებისა და დოკუმენტებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის.

## თავი II
## მოთხოვნები საქმეთა ნომენკლატურების შედგენისა და საქმეთა ფორმირებისადმი

**მუხლი 9. საქმეთა ნომენკლატურა. ნომენკლატურების სახეობები**

1. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებით ხარისხიანად დაკომპლექტების მიზნით, დაწესებულების არქივი კონტროლსა და საჭირო მეთოდიკურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევს საქმისწარმოების სამსახურს საქმეთა ნომენკლატურის შედგენასა და ფორმირებაში.

2. საქმეთა ნომენკლატურა წარმოადგენს დაწესებულების საქმისწარმოებაში შემოღებულ საქმეთა დასახელებების დადგენილი ფორმის მიხედვით შედგენილ სისტემატიზებულ ნუსხას საქმეთა შენახვის ვადების მითითებით. პასუხისმგებლობა მის შედგენაზე ეკისრება დაწესებულების საქმისწარმოების სამსახურს.

3. ა) საქმეთა ნომენკლატურა წარმოადგენს მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა ანაწერების შედგენის საფუძველს, ძირითად სააღრიცხვო დოკუმენტს საქმისწარმოებაში, ხოლო დაწესებულების არქივში გამოიყენება დროებითი შესანახი (10 წლის ჩათვლით) საქმეების აღრიცხვისათვის.

ბ) ნომენკლატურაში დამკვიდრებული საქმეთა სისტემატიზაციის სქემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესრულებული დოკუმენტების კარტოთეკის სქემის შესამუშავებლად.

4. ა) არსებობს საქმეთა ნომენკლატურების სამი სახეობა: ტიპობრივი, სანიმუშო და კონკრეტული დაწესებულების საქმეთა ინდივიდუალური ნომენკლატურა.

ბ) საქმეთა ტიპობრივი ნომენკლატურა ადგენს ერთი ტიპის დაწესებულებების საქმისწარმოებაში შემოღებულ საქმეთა შემადგენლობას და წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს.

გ) საქმეთა სანიმუშო ნომენკლატურა ადგენს იმ დაწესებულებათა საქმისწარმოებაში შემოღებულ საქმეთა სანიმუშო შემადგენლობას, რომლებზედაც იგი ვრცელდება მათი ინდექსების მითითებით და აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

5. ა) საქმეთა ტიპობრივი და სანიმუშო ნომენკლატურები გამოიყენება საქმეთა ინდივიდუალური ნომენკლატურის შესადგენად.

ბ) დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურაში ტიპობრივი თუ სანიმუშო ნომენკლატურიდან გადაიტანება ის სათაურები, რომლებიც განზრახულია შემოღებულ იქნეს დაწესებულების საქმისწარმოებაში მათი სპეციფიკის კონკრეტიზაციის გათვალისწინებით.

გ) ტიპობრივი თუ სანიმუშო ნომენკლატურით გათვალისწინებული საქმეთა შენახვის ვადები უცვლელად გადადის საქმეთა ინდივიდუალურ ნომენკლატურაში.

**მუხლი 10. ძირითადი მოთხოვნები დაწესებულებების საქმეთა ნომენკლატურების შედგენისადმი**

1. ა) დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურა (კრებსითი) (დანართი №1) დგება დადგენილი ფორმით სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმეთა ნომენკლატურების საფუძველზე, რომლებიც შემუშავებულია ანალოგიური ფორმის მიხედვით (დანართი №2), შეთანხმებულია არქივთან და ხელმოწერილია ამ ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მიერ.

ბ) დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურა ფორმდება დაწესებულების საერთო ბლანკზე.

გ) დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურას ვიზას უსვამს არქივის ხელმძღვანელი ან არქივზე პასუხისმგებელი პირი, ხელს აწერს საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელი ან საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი და დაწესებულების ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის მიერ მოწონების შემდეგ იგზავნება შესაბამისი საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან შესათანხმებლად, რის შემდეგ მას ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

დ) დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცების შემდეგ სტრუქტურული ქვედანაყოფები ღებულობენ მისი შესაბამისი თავების ამონაწერებს მუშაობაში გამოსაყენებლად.

ე) მომავალი კალენდარული წლის დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურა დგება მიმდინარე წლის ბოლო კვარტალში.

ვ) საარქივო დაწესებულებასთან შეთანხმებული საქმეთა ნომენკლატურა ყოველი წლის ბოლოს ზუსტდება, მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და ძალაში შედის მომდევნო კალენდარული წლის 1 იანვრიდან.

ზ) საქმეთა ნომენკლატურა თანხმდება საარქივო დაწესებულებასთან სულ ცოტა 5 წელიწადში ერთხელ მაინც. დაწესებულების ფუნქციებისა და სტრუქტურის ძირფესვიანად შეცვლის შემთხვევაში შემუშავდება საქმეთა ახალი ნომენკლატურა.

2. ა) საქმეთა ნომენკლატურა დგება დაწესებულების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემადგენლობისა და შინაარსის შესწავლის საფუძველზე.

ბ) საქმეთა ნომენკლატურის შედგენისას ხელმძღვანელობენ საქმისწარმოებისა და დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესებით, დაწესებულების წესდებით ან დებულებით, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებით, საშტატო ნუსხით, დაწესებულების გასული წლის საქმეთა ნომენკლატურით, მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა ანაწერებით, სარეგისტრაციო ფორმებით, დოკუმენტების საუწყებო და ტიპობრივი ნუსხებით (შენახვის ვადების მითითებით), საქმეთა ტიპობრივი და სანიმუშო ნომენკლატურებით.

**მუხლი 11. სათაურები და მათი შედგენა საქმეთა ნომენკლატურაში**

1. ა) საქმეთა ნომენკლატურაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქმეთა სათაურები იმ დოკუმენტების დასაჯგუფებლად, რომლებიც ასახავენ დაწესებულების საქმიანობის ყველა დოკუმენტირებულ უბანსა და საკითხს.

ბ) დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურაში შეიტანება დროებით მოქმედი ორგანოების საქმეები, რომელთა დოკუმენტები წარმოადგენენ დაწესებულების უფლებამოსილების ან მისი საქმიანობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველს (მაგალითად, დაწესებულების სალიკვიდაციო კომისიის საქმეები შეიტანება ლიკვიდირებული დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურაში);

გ) საქმეთა ნომენკლატურის სტრუქტურას განსაზღვრავს დაწესებულების სტრუქტურა (საშტატო ნუსხა). საქმეთა ნომენკლატურის თავები, ქვეთავები და სხვა ნაწილები უნდა ემთხვეოდეს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფების სახელწოდებებს (მაგალითად: კანცელარია, კადრების განყოფილება, ბუღალტერია და ა.შ.).

2. დაწესებულების, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმეთა ნომენკლატურის გრაფები შეივსება შემდეგნაირად:

ა) საქმეთა ნომენკლატურის 1-ლ გრაფაში დაისმება ნომენკლატურაში შეტანილი თითოეული საქმის ინდექსები. საქმის ინდექსი შედგება დაწესებულებაში დადგენილი სტრუქტურული ქვედანაყოფის ციფრობრივი აღნიშვნისა და საქმის სათაურის რიგითი ნომრისაგან საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით სტრუქტურული ქვედანაყოფის ფარგლებში. საქმეთა ინდექსები აღინიშნება არაბული ციფრებით. მაგალითად: 02-03, სადაც 02 სტრუქტურული ქვედანაყოფის ინდექსია, ხოლო 03 – საქმეთა სათაურის რიგითი ნომერი საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით;

ბ) საქმეთა ნომენკლატურაში რეკომენდებულია სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების (საქმიანობის მიმართულებების) ერთგვაროვან საქმეებს მიეცეს ერთნაირი ინდექსები. მაგალითად: ,,ძირითადი საქმიანობის ბრძანებები“ (02-03, 03-03, 04-03 და ა.შ.);

გ) საქმეთა ნომენკლატურის მე-2 გრაფაში შეიტანება საქმეების (ტომების) სათაურები;

დ) საქმეთა ნომენკლატურის თავებსა და ქვეთავებში საქმეთა სათაურების განლაგების წესი განისაზღვრება საქმის შემცველი დოკუმენტების მნიშვნელობის დონით და მათი ურთიერთკავშირით;

ე) თავდაპირველად თავსდება სამართლებრივი აქტების შემცველ საქმეთა სათაურები. ამასთან, ზემდგომი დაწესებულებების სამართლებრივი აქტები თავსდება დაწესებულების ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტების წინ. შემდეგ თავსდება საგეგმო და საანგარიშგებო დოკუმენტების შემცველ საქმეთა სათაურები;

ვ) გეოგრაფიული და კორესპონდენტული ნიშნებით შემოღებულ საქმეთა სათაურები საქმეთა ნომენკლატურაში შეიტანება გეოგრაფიული და კორესპონდენტების დასახელებების ანბანური ნიშნების მიხედვით;

ზ) საქმის სათაური გარკვეულად და განზოგადებული ფორმით უნდა ასახავდეს საქმის დოკუმენტების ძირითად შინაარსსა და შემადგენლობას;

თ) საქმის სათაურში არ დაიშვება არაკონკრეტული ფორმულირებების (,,სხვადასხვა მასალები“, ,,საერთო მიმოწერა“ და ა.შ.), აგრეთვე ჩართული სიტყვებისა და რთული სინტაქსური კონსტრუქციების ხმარება;

ი) საქმის სათაურები შეიძლება დაზუსტდეს საქმეთა ფორმირებისა და გაფორმების პროცესში. მიღებული თანმიმდევრობით განლაგებული საქმის სათაურის ელემენტების შემადგენლობა განისაზღვრება საქმის დოკუმენტების ხასიათით;

კ) საქმეში დოკუმენტები განლაგდება შემოღების ნიშნების საფუძველზე: საგნობრივი, ნომინალური, საავტორო, კორესპონდენტული, გეოგრაფიული, ქრონოლოგიური. თუ საქმისწარმოებაში სწორად იქნა საქმეთა ფორმირება მათი შემოღების ნიშნების მიხედვით, მაშინ ადვილი იქნება სათაურის შედგენა, რომელიც მთელი სისრულით ასახავს ამ საქმის დოკუმენტების შემადგენლობასა და შინაარსს;

ლ) ოქმები, დადგენილებები, ბრძანებები, განკარგულებები და სხვა სამართლებრივი აქტები საქმისწარმოებაში ჩვეულებრივ ფორმდება ნომინალური, საავტორო, ხანდახან საგნობრივ-კითხვათა, აგრეთვე ქრონოლოგიური ნიშნების მიხედვით. შესაბამისად, სათაურებში აისახება დოკუმენტების სახეობა, ავტორის დასახელება და თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ საქმის ფორმირების დროს

გამოყენებული იქნა საგნობრივ-კითხვათა ნიშანი ან სათაური შედგენილია ცალკეულ დოკუმენტზე, მაშინ სათაურში მიეთითება დოკუმენტის შინაარსი. მაგალითად: 1. ,,საქართველოს ბანკის საბურთალოს ფილიალის გამგეობის 2006 წლის იანვარ-ივლისის №№1-15 სხდომათა ოქმები“. 2. ,,საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის განკარგულებები მუშაკთა მიღების, გადაადგილებისა და გათავისუფლების შესახებ“;

მ) გეგმები და ანგარიშები ასევე აიწერება ავტორის მითითებით, ხანდახან შინაარსისა და დროის – დოკუმენტის შედგენის პერიოდის მითითებით. მაგალითად: 1. ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საბჭოს მუშაობის 2007 წლის გეგმა“. 2. ,,ფირმის 2006 წლის კვარტალური ანგარიშები ავტოტრანსპორტის მუშაობის შესახებ“;

ნ) ცნობები, უწყისები, ინფორმაციები, ცხრილები და სხვა საინფორმაციო-ანალიზური დოკუმენტაცია აღიწერება სათაურში ავტორის, შინაარსის, ტერიტორიისა და დროის მითითებით. მაგალითად: ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა 2006 წლის იანვარ-ივნისის ხელფასის გაცემის უწყისები“;

ო.ა) ცნება ,,მიმოწერა“ გამოიყენება შეკითხვებისა და პასუხების შემცველი დოკუმენტების კომპლექსში, რომლებიც წამოიჭრება ორი ან რამდენიმე დაწესებულების ურთიერთკავშირის პროცესში: სათაურში მიეთითება მხოლოდ კორესპონდენტი და შინაარსი. მაგალითად: ,,მიმოწერა სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ორგანოებთან გადასახადის შეწერის, გადასახადებისა და საჯარიმო სანქციების გასტუმრებაზე განვადების მიცემის, გადასახადების შეწერის საკითხებში აზრთა სხვადასხვაობის, მოსაკრებლების აკრეფის შესახებ“;

ო.ბ) იმ საქმეთა სათაურებში, რომლებიც მოიცავენ მიმოწერას ერთგვაროვან კორესპონდენტებთან, ამ უკანასკნელთა ჩამოთვლა საჭირო არ არის, მიეთითება მხოლოდ მათი საერთო სახეობრივი სახელწოდება. მაგალითად, ,,მიმოწერა ფირმებთან სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის შესახებ“;

ო.გ) სხვადასხვაგვარ კორესპონდენტებთან მიმოწერის შემცველ საქმეთა სათაურებში კორესპონდენტები არ მიეთითება. მაგალითი: მიმოწერა სამეცნიერო-ტექნიკური მუშაობის გამოცდილების გაზიარების საკითხებზე თათბირების მოწყობის შესახებ“;

ო.დ) საქმის სათაურში მიეთითება კონკრეტული კორესპონდენტი, თუ მიმოწერა მხოლოდ მასთან წარმოებს. მაგალითი: ,,მიმოწერა ენერგეტიკის სამინისტროსთან ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ“;

პ) სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების საქმის სათაური შეიცავს: საქმის სახეობის ან დოკუმენტების სახეობის (ნაირსახეობის) სახელწოდებას; კომპლექსის, პროექტის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების თემის, ეტაპის, ნაწილის, კვანძის, საკრები ერთეულის, შემუშავების სტადიის დასახლებას; სამეცნიერო თემის ნომერს; საწარმოო ინდექსს;

ჟ) მანქანურსაკითხავი დოკუმენტის სათაური შეიცავს: ინფორმაციის წარდგენის სახეობის აღნიშვნას (მონაცემთა ბაზა, ტექსტიანი ფაილი, ციფრული გამოსახულება და სხვ.) და მის მოკლე შინაარსს, მითითებას ინფორმაციის ავტორზე თუ შემდგენელზე. მაგალითად: ,,მონაცემთა ბაზა ,,სააქტო ჩანაწერების არქივი“. შემდგენელი – სააქციო საზოგადოება №“;

რ) მიღებულ თანმიმდევრობაში განლაგებული საქმის სათაურის ელემენტების შემადგენლობა განისაზღვრება საქმის დოკუმენტების ხასიათით. სათაურების შედგენისას ყველაზე რთულია საქმის ხასიათის გარკვევა შემადგენლობის მიხედვით. ხანდახან საქმეში შეტანილია დოკუმენტების სხვადასხვა სახეობები და პირველ რიგში საჭიროა გადაწყდეს რა სახეობასთან გვაქვს საქმე: დოკუმენტებთან თუ საქმესთან;

ს) ცნება ,,საქმე“ გამოიყენება პირადი საქმეების აღწერის დროს, როდესაც მიეთითება მხოლოდ სახელი და გვარი, აგრეთვე იმ საქმეთა აღწერის დროს, რომლებშიც სხვადასხვა სახის დოკუმენტები დაკავშირებულია საკითხის ერთიანობითა და საქმისწარმოების თანმიმდევრობით. როგორც წესი, ეს არის სასამართლო, საგამოძიებო თუ დავის განხილვის საქმეები. მაგალითად: ,,საქმე სააქციო საზოგადოების ვალაუვალობის (გაკოტრების) შესახებ“;

ტ) იმ საქმეთა სათაურებში, რომელთა დოკუმენტები ეხება ერთ საკითხს, მაგრამ დაკავშირებულნი არ არიან საქმისწარმოების თანმიმდევრობით, საქმის სახეობის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი ,,დოკუმენტები“, ხოლო სათაურის ბოლოს ფრჩხილებში მიეთითება იმ დოკუმენტების ძირითადი ნაირსახეობანი, რომლებიც უნდა დაჯგუფდნენ საქმეში. მაგალითად: ,,დოკუმენტები დარგთაშორისი

და დარგობრივი თემატური გამოფენების მოწყობის შესახებ (გეგმები, სიები, მოხსენებები, ექსპონატების დახასიათებები)“;

უ) ტერმინი ,,დოკუმენტები“ გამოიყენება აგრეთვე იმ საქმეთა სათაურებში, რომლებიც მოიცავენ რომელიმე დოკუმენტის დანართ დოკუმენტებს;

ფ) იმ საკითხების საქმეთა სათაურები, რომლებიც არ გადაწყდა ერთი წლის განმავლობაში, ,,გარდამავალია“ და დაწესებულების მომდევნო წლის საქმეთა ნომენკლატურაში შეიტანება იმავე ინდექსით;

ქ) თუ საქმე შედგება რამდენიმე ტომისაგან ან ნაწილისაგან, დგება საქმის საერთო სათაური, ხოლო შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ადგენენ თითოეული ტომის (ნაწილის) სათაურებს, რომლებიც აზუსტებენ საქმის სათაურის შინაარსს;

ღ) საქმეთა ნომენკლატურის მე-3 გრაფაში მიეთითება საქმეების (ტომების, ნაწილების) რაოდენობა. იგი შეივსება კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ;

ყ) მე-4 გრაფაში მიეთითება საქმის შენახვის ვადა, მუხლების ნომრები ნუსხის (ტიპობრივი, საუწყებო), ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საქმეთა ტიპობრივი ან სანიმუშო ნომენკლატურის მიხედვით;

შ) როცა ნომენკლატურაში შეიტანება იმ დოკუმენტების შემცველი სათაურები, რომელთა შენახვის ვადები გათვალისწინებული არ არის დოკუმენტების ტიპობრივი ან საუწყებო ნუსხებით, მათი შენახვის ვადები დაწესებულების არქივისა და ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის წარდგინებით დგინდება შესაბამისი საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ;

ჩ) მე-5 გრაფაში (,,შენიშვნა“) ნომენკლატურის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში აღინიშნება საქმეების შემოღების, გარდამავალ საქმეთა, საქმეთა გასანადგურებლად გამოყოფის, საქმეთა სხვა დაწესებულებაში გასაგრძელებლად გადაცემის შესახებ და სხვა.

3. კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ საქმეთა ნომენკლატურის ბოლოს დგება შემაჯამებელი ჩანაწერი შემოღებული საქმეების (ტომების, ნაწილების) რაოდენობის შესახებ (განცალკევებით მუდმივად, ხანგრძლივად და დროებით შესანახად). დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შემაჯამებელი ჩანაწერების შემცველი ცნობები სავალდებულო წესით ეცნობება საარქივო დაწესებულებას და შესაბამისი აღნიშვნა კეთდება საქმეთა ნომენკლატურაში ცნობის წარსადგენი პირის თანამდებობის აღნიშვნით, ხელმოწერით, ხელმოწერის გაშიფრვითა და თარიღით.

**მუხლი 12. დაწესებულებაში საქმეთა ფორმირების წესი**

1. ა) საქმეთა ფორმირება ეწოდება შესრულებული დოკუმენტების დაჯგუფებას საქმეებში საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად.

ბ) საქმეში თავსდება დოკუმენტები, რომლებიც თავისი შინაარსით შეესაბამება საქმის სათაურს, ამასთან აკრძალულია საქმეებში დოკუმენტების შავი და დუბლეტური ეგზემპლარების (განსაკუთრებულად ღირებულების გარდა) დაჯგუფება.

2. ა) დაწესებულებებში, სადაც ცენტრალიზებული საქმისწარმოებაა, საქმეების ფორმირებას ახორციელებს დაწესებულების საქმისწარმოების სამსახური, დეცენტრალიზებული საქმისწარმოებისას საქმეების ფორმირება ხორციელდება როგორც სტრუქტურული ქვედანაყოფების (საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირების), ასევე დაწესებულების საქმისწარმოების სამსახურის მიერ.

ბ) საქმეთა ფორმირება ხორციელდება დაწესებულების არქივის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საარქივო დაწესებულების უშუალო მეთოდიკური ხელმძღვანელობით.

3. საქმეთა ფორმირების დროს საჭიროა შემდეგი ძირითადი მოთხოვნების დაცვა:

ა) მუდმივად, ხანგრძლივად და დროებით შესანახი დოკუმენტები უნდა დაჯგუფდეს ცალკე საქმეებში;

ბ) საქმეში შეიტანება თითოეული დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი;

გ) საქმეში დაჯგუფებული უნდა იყოს ერთი კალენდარული წლის დოკუმენტები; გამონაკლისს წარმოადგენენ: გარდამავალი საქმეები; სასამართლო საქმეები; პირადი საქმეები, რომლებიც ფორმირდება მოცემული დაწესებულების მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე; არჩევითი ორგანოებისა და მათი მუდმივი კომისიების, სადეპუტატო ჯგუფების დოკუმენტები, რომელთა

დაჯგუფება ხდება მათი მოწვევის პერიოდში; სასწავლებელთა დოკუმენტები, რომელთა ფორმირება ხდება სასწავლო წლის ფარგლებში; თეატრების დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ სასცენო საქმიანობას, – თეატრალური სეზონის ფარგლებში; ფილმების, ხელნაწერების საქმეები, ავადმყოფობის ისტორიები და სხვა;

დ) საქმე უნდა შეცავდეს არა უმეტეს 250 ფურცლისა, ხოლო მისი სისქე არ უნდა აღემატებოდეს 4 სანტიმეტრს.

4. ა) საქმეებში დოკუმენტები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ თავისი შინაარსით თანამიმდევრულად აშუქებდეს განსაზღვრულ საკითხებს. ამასთან, დოკუმენტები განლაგებული უნდა იყოს ქრონოლოგიურად (შემოსული – შემოსვლის თარიღის, გასული – გაგზავნის თარიღის მიხედვით) ან ავტორებისა და კორესპონდენტების დასახელებების ანბანური ნიშნით;

ბ) დოკუმენტების დანართები, განურჩევლად მათი დამტკიცებისა თუ შედგენისა, უერთდებიან დოკუმენტებს, რომლებსაც ისინი მიეკუთვნება. 250 ფურცელზე მეტი მოცულობის დანართი შეადგენს ცალკე ტომს, რაც აღინიშნება დოკუმენტში.

5. სამართლებრივი აქტების დაჯგუფება საქმეებში ხდება სახეობებისა და ქრონოლოგიის მიხედვით და იმ დანართებით, რომლებიც მათ მიეკუთვნება:

ა) ნორმატიული აქტებით დამტკიცებული წესდებები, დებულებები, ინსტრუქციები, ნუსხები მათი დანართებია და ჯგუფდება მითითებულ დოკუმენტებთან ერთად, ხოლო, თუ ისინი დამტკიცებულია როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტი, მათ აჯგუფებენ ცალკე საქმეებად;

ბ) ძირითადი საქმიანობის და პირადი შემადგენლობის სამართლებრივი აქტები ჯგუფდება ცალ-ცალკე;

გ) პირადი შემადგენლობის სამართლებრივი აქტები ჯგუფდება მათი შენახვის დადგენილი ვადების შესაბამისად. მიზანშეწონილია დოკუმენტების დიდი მოცულობისას პირადი შემადგენლობის სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება დაწესებულების საქმიანობის სხვადახვა მხარეს (სამუშაოზე მიღება, გადაადგილება, გათავისუფლება, მივლინებები და ა.შ.). დაჯგუფდეს ცალკეულ საქმეებად;

დ) ზემდგომი დაწესებულებების დავალებები და მათი შესრულების დოკუმენტები ჯგუფდება საქმეებში დაწესებულების საქმიანობის მიმართულებების მიხედვით;

ე) დამტკიცებული გეგმები, ანგარიშები, ხარჯთა ნუსხები, ლიმიტები, სატიტულო სიები და სხვა დოკუმენტები ჯგუფდება განცალკევებით მათი პროექტებისაგან;

ვ) პირად საქმეებში დოკუმენტების განლაგება ხდება ქრონოლოგიურად მათი შემოსვლის კვალობაზე;

ზ) მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის პირადი ანგარიშები ჯგუფდება ცალკე საქმეებად და განლაგდება მათში გვარების ანბანის მიხედვით;

თ) მოქალაქეთა წინადადებები, განცხადებები და საჩივრები დაწესებულების მუშაობის საკითხებზე, ყველა დოკუმენტი მათი განხილვისა და შესრულების შესახებ ჯგუფდება პირად საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებებისაგან განცალკევებით;

ი) მიმოწერა, როგორც წესი, ჯგუფდება კალენდარული წლის მიხედვით და მისი სისტემატიზაცია ხორციელდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დოკუმენტი – პასუხი თავსდება დოკუმენტშეკითხვის შემდეგ. გარკვეულ საკითხზე წინა წელს დაწყებული მიმოწერის განახლების შემთხვევაში დოკუმენტები შეიტანება მიმდინარე წლის საქმეში წინა წლის საქმის ინდექსის მითითებით. დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით მიმოწერა შეიძლება დაჯგუფდეს აგრეთვე სასწავლო წლის, არჩევითი ორგანოების მოწვევის ვადისა და ა.შ. ფარგლებში.

## თავი III
## დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა

### მუხლი 13. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ნორმატიულ-მეთოდიკური საფუძვლები

1. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა დოკუმენტების შესწავლაა მათი ღირებულების კრიტერიუმების საფუძველზე დოკუმენტების შენახვის ვადების განსაზღვრისა და მუდმივი შენახვისათვის შესარჩევად.

2. ა) დოკუმენტების მიკუთვნება ეროვნული საარქივო ფონდის შემადგენლობისადმი ხორციელდება შემფასებელი ექსპერტიზის შედეგების მიხედვით ისტორიზმის, სისტემურობისა და მთლიანობის პრინციპების საფუძველზე დოკუმენტების წარმოშობის, შინაარსის, გარეგანი თავისებურებების კრიტერიუმების კომპლექსური გამოყენების გზით;

ბ) წარმოშობის კრიტერიუმებს მიეკუთვნება: დაწესებულების როლი და ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ან კონკრეტულ დარგში, მის მიერ შესრულებული ფუნქციების მნიშვნელობა, ფიზიკური პირის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში, დოკუმენტის წარმოქმნის დრო და ადგილი;

გ) შინაარსის კრიტერიუმებს მიეკუთვნება: დოკუმენტში ასახული ამბავის (მოვლენის) მნიშვნელობა, დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მნიშვნელობა, დოკუმენტის ინფორმაციის განმეორება სხვა დოკუმენტებში, დოკუმენტის სახეობა, დოკუმენტის ნამდვილობა;

დ) გარეგანი თავისებურებების კრიტერიუმებს მიეკუთვნება: დოკუმენტის შინაარსის დაფიქსირებისა და გადმოცემის, დადასტურების ფორმა, მისი ფიზიკური მდგომარეობა;

ე) დოკუმენტის ეროვნული საარქივო ფონდის შემადგენლობისადმი მიკუთვნებისას მხედველობაში მიიღება ფონდის სისრულისა და დაცვის დონის ფაქტორი.

3. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა ტარდება დაწესებულების საექსპერტო კომისიის მიერ:

ა) საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე საარქივო საქმის და საქმისწარმოების საკითხებში;

ბ) დოკუმენტების ტიპობრივი და საუწყებო ნუსხების (დოკუმენტების შენახვის ვადების მითითებით), საქმეთა ტიპობრივი და სანიმუშო ნომენკლატურების საფუძველზე;

გ) საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების საარქივო საქმის მართვის დაწესებულებების ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტების საფუძველზე საარქივო დარგში.

4. ა) ელექტრონული დოკუმენტების შერჩევა საარქივო შესანახად ხორციელდება ამ დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის შედეგად, რომელიც ტარდება დაწესებულების საექსპერტო კომისიის მიერ.

ბ) ელექტრონული დოკუმენტების ექსპერტიზის პირველ ეტაპზე არქივი საქმისწარმოების სამსახურთან ან იმ სამსახურთან ერთად, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ფუნქციონირებაზე, განსაზღვრავს სისტემების, თემებისა და პროექტების ნუსხას, რომელთა დოკუმენტებს ექსპერტიზის საერთო კრიტერიუმების შესაბამისად შეიძლება ჰქონდეთ ფასეულობა. ნუსხის ფარგლებში ტარდება ელექტრონული დოკუმენტების შერჩევა მუდმივ და ხანგრძლივ შესანახად; ნუსხა მტკიცდება დაწესებულების საექსპერტო კომისიის მიერ.

გ) ელექტრონული დოკუმენტაციის ექსპერტიზა საექსპერტო კომისიის მიერ ტარდება ტრადიციულ მატარებლებზე დაწესებულებების დოკუმენტაციასთან ურთიერთკავშირში (კომპლექსში გამოიყენება ზოგადი და სპეციალური კრიტერიუმების სისტემა: დოკუმენტის მნიშვნელობა, სისრულე; დოკუმენტის ავთენტიკურობა; საარქივო შესანახად მიღებულ დოკუმენტებში დუბლირებული ინფორმაციის არსებობა).

დ) ელექტრონული დოკუმენტების არქივში შესანახად მიღების დროს მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: შეზღუდვები ელექტრონული დოკუმენტების მიღებისას; ელექტრონული დოკუმენტის შექმნის პროცესის დასრულება; არქივში მიღების დროს ელექტრონული დოკუმენტების სხვა ფორმატში შესაძლო გადატანის ღირებულება; საკანონმდებლო აქტების არსებობა, რომლებიც აბრკოლებენ ელექტრონული დოკუმენტების გადაცემას; აუცილებელი თანდართული დოკუმენტაციის არსებობა, ელექტრონული მოწყობილობის ტიპის შესაბამისობა ელექტრონული დოკუმენტების შენახვის სხვადასხვა რეჟიმებთან; დოკუმენტების შენახვის ხარჯი.

**მუხლი 14. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაცია**

1. დაწესებულებაში დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა ტარდება:

ა) საქმისწარმოებაში – საქმეთა ნომენკლატურების შედგენის დროს, საქმეთა ფორმირების პროცესში და საქმეთა არქივში გადასაცემად მომზადების დროს;

ბ) არქივში – საქმეთა მუდმივ შესანახად გადასაცემად მომზადების პროცესში.

2. ა) დაწესებულების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების, მათ შორის მმართველობითი, სამეცნიერო-ტექნიკური, აუდიოვიზუალური, მანქანურსაკითხავი და სხვა დოკუმენტაციის, შერჩევისა და მუდმივი შენახვისათვის გადასაცემად მომზადების სამუშაოების ორგანიზაციისა და ჩატარების მიზნით იქმნება საექსპერტო კომისია[2].

ბ) სამინისტროებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებში, სხვა ორგანიზაციებში, რომლებსაც გააჩნიათ საქვეუწყებო ქსელი, იქმნება ცენტრალური საექსპერტო კომისიები.

3. ა) ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიები იქმნება დაწესებულების ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით. მასში შეყვანილი უნდა იყვნენ სულ ცოტა სამი ყველაზე კვალიფიციური მუშაკი. დაწესებულების საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში სავალდებულო წესით ჩართული უნდა იყოს არქივის ხელმძღვანელი ან არქივზე პასუხისმგებელი პირი.

ბ) ცენტრალური საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში მიზანშეწონილია შეყვანილ იქნეს იმ საარქივო დაწესებულების წარმომადგენელი, რომლისათვისაც ეს დაწესებულება წარმოადგენს დაკომპლექტების წყაროს.

გ) ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება დაწესებულების ის ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც კურირებს საქმისწარმოებისა და არქივის საკითხებს.

4. ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის ძირითადი ამოცანებია:

ა) დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ორგანიზაცია და ჩატარება საქმისწარმოების სტადიაზე საქმეთა ნომენკლატურების შედგენის დროს და საქმეთა ფორმირების პროცესში;

ბ) დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ორგანიზაცია და ჩატარება დაწესებულების არქივში მათი გადასაცემად მომზადების დროს;

გ) დოკუმენტების შერჩევა და მუდმივ შესანახად გადასაცემად მომზადება.

5. ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

ა) საქმეთა ყოველწლიური შერჩევის ორგანიზაცია შესანახად და გასანადგურებლად;

ბ) დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურების, მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა, მათ შორის პირადი შემადგენლობის, ანაწერების, საქმეთა გასანადგურებლად გამოყოფის აქტების პროექტების განხილვა და საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დასამტკიცებლად და შესათანხმებლად წარდგენა;

გ) წინადადებების მომზადება და საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე განსახილველად წარდგენა დოკუმენტების ცალკეული კატეგორიების ნუსხებით დადგენილი შენახვის ვადების შეცვლისა და ნუსხებით გაუთვალისწინებელი დოკუმენტების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ;

დ) დაწესებულებაში დოკუმენტებზე მუშაობის საკითხებზე სამართლებრივი და მეთოდიკური დოკუმენტების პროექტების მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობა.

6. ა) ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისია სხდომებს ატარებს სამუშაო გეგმის შესაბამისად და საჭიროების მიხედვით. ყველა სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი. ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის გადაწყვეტილებები ძალაში შედის დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცების შემდეგ;

ბ) ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიების ოქმები, რომლებიც შეიცავს გადაწყვეტილებებს საქმეთა ტიპობრივი და სანიმუშო ნომენკლატურების პროექტების მოწონების, დოკუმენტების ტიპობრივი და საუწყებო ნუსხებით (დოკუმენტების შენახვის ვადების მითითებით), აგრეთვე საქმეთა ტიპობრივი და სანიმუშო ნომენკლატურებით დადგენილი დოკუმენტების შენახვის ვადების შეცვლის საკითხებს, მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ მხოლოდ შესაბამისი საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე განხილვის შემდეგ.

[2] სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სპეციალური დოკუმენტაციის შემფასებელი ექსპერტიზისა და მუდმივი შენახვისათვის შესარჩევად შეიძლება შეიქმნას ცალკე საექსპერტო კომისია, რომელიც შედგება ამ დოკუმენტაციის სპეციალისტებისაგან.

**მუხლი 15. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების წესი**

1. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა ხორციელდება ყოველწლიურად საქმისწარმოების მუშაკების მიერ დაწესებულების ცენტრალურ საექსპერტო (საექსპერტო) კომისიასთან ერთად არქივის მეთოდიკური ხელმძღვანელობით.

2. სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების დროს ხორციელდება მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა შერჩევა არქივში გადასაცემად; დროებით შესანახ (10 წლის ჩათვლით) საქმეთა შერჩევა, რომლებიც ექვემდებარება შენახვას სტრუქტურულ ქვედანაყოფებში; წინა წლების საქმეთა გასანადგურებლად გამოყოფა, რომელთა შენახვის ვადები გავიდა. ამასთან ერთად, მოწმდება დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის ხარისხი და საქმეთა შენახვის ვადების განსაზღვრის სისწორე.

3. ა) მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტების შერჩევა ტარდება საქმეთა ფურცლობრივი გადათვალიერებით. არ დაიშვება დოკუმენტების შესანახად და გასანადგურებლად შერჩევა მხოლოდ საქმეთა სათაურების საფუძველზე;

ბ) საქმეები ნიშნით ,,სშკ“ ექვემდებარება ფურცლობრივ გადათვალიერებას მათ შემადგენლობაში მუდმივად შესანახი დოკუმენტების გამოვლენისა და გამოყოფის მიზნით;

გ) საქმეები ნიშნით ,,სშკ“, რომლებიც მოიცავს მუდმივად შესანახ დოკუმენტებს, ექვემდებარება ხელახალ ფორმირებას. მათი შემადგენლობიდან გამოყოფილი მუდმივად შესანახი დოკუმენტები უერთდება ერთგვაროვან საქმეებს ან ფორმდება დამოუკიდებელ საქმეებად;

დ) საქმეთა შენახვის ვადები, რომლებიც მოიცავს დარჩენილ დროებით შესანახ დოკუმენტებს, განისაზღვრება დოკუმენტების ნუსხით (მათი შენახვის ვადების მითითებით) ან დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურით;

ე) ახლად ფორმირებულ საქმეთა ჩაკერება ხორციელდება მხოლოდ დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის დასრულების შემდეგ.

4. არქივი დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას მათი მუდმივ შესანახად შერჩევის დროს ატარებს შესაბამისი საარქივო დაწესებულების მეთოდიკური ხელმძღვანელობით.

5. ა) ელექტრონული დოკუმენტების დაწესებულების არქივში გადასაცემად მომზადება შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

– არქივში გადასაცემი მანქანური მატარებლების ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება;

– ელექტრონული დოკუმენტების ჩაწერა მანქანურ მატარებლებზე;

– ჩაწერის ხარისხის შემოწმება;

– ელექტრონული დოკუმენტების აღწერა;

– შესანახ ერთეულებზე (ფუტლარებზე) საარქივო შიფრების დასმა მუდმივად შესანახი და პირადი შემადგენლობის ელექტრონული დოკუმენტების საარქივო ანაწერის (ანაწერების) შესაბამისად;

– თანდართული დოკუმენტაციის კომპლექტის მომზადება;

ბ) ელექტრონული დოკუმენტების თანდართული დოკუმენტაცია უნდა უზრუნველყოფდეს მათ დაცვასა და გამოყენებას. მასში აისახება შემდეგი ინფორმაცია: დოკუმენტის სახელწოდება, მისი შექმნის თარიღი, შინაარსის დახასიათება (ანოტაცია), ელექტრონული ფორმატი, ფიზიკური და ლოგიკური სტრუქტურა, დოკუმენტის მოცულობა.

**მუხლი 16. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის შედეგების გაფორმება**

1. დაწესებულებაში დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის შედეგების მიხედვით დგება მუდმივად (დანართი №3), ხანგრძლივად შესანახი (დანართი №4) და პირადი შემადგენლობის (დანართი №5) საქმეთა ანაწერები, აგრეთვე იმ საქმეთა გასანადგურებლად გამოყოფის აქტები, რომლებიც შენახვას არ ექვემდებარებიან (დანართი №6).

2. ა) დაწესებულების არქივში ეროვნული საარქივო ფონდის ელექტრონული დოკუმენტების შემადგენლობისა და მოცულობის მიხედვით დგება მუდმივად შესანახი (დანართი №7) და პირადი შემადგენლობის ელექტრონული დოკუმენტების ანაწერები. მმართველობითი, სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია, ელექტრონული დოკუმენტების ცალკეული კომპლექსები შეიტანება დამოუკიდებელ ანაწერებში.

ბ) ანაწერების გაფორმებისა და დამტკიცების წესი დადგენილია წინამდებარე წესების IV თავის მე-18–22-ე მუხლებით.

3. საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია ამტკიცებს მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერებს და ათანხმებს პირადი შემადგენლობის საქმეთა ანაწერებს (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტების საქმეთა ანაწერებს).

4. მითითებული (მე-16 მუხლის პ.1) ანაწერები და აქტები ერთდროულად განიხილება დაწესებულების ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის სხდომაზე. ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის მიერ მოწონებული აქტები და ანაწერები მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ მხოლოდ საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერების დამტკიცების შემდეგ; ამის შემდეგ დაწესებულებას უფლება აქვს გაანადგუროს მოცემულ აქტებში შეტანილი საქმეები.

5. ა) აქტში საქმეები შეიტანება, თუ მათთვის გათვალისწინებული შენახვის ვადა ამოიწურა იმ წლის 1 იანვრისთვის, რომელშიც დგება აქტი. მაგალითად, 2001 წელს შენახვის ხუთწლიანი ვადის მქონე დასრულებული საქმეები შეიძლება შეტანილ იქნეს აქტში, რომელიც შედგება 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ბ) საქმეთა გასანადგურებლად გამოყოფის აქტი დგება მთელი დაწესებულების საქმეებისათვის. თუ აქტში მითითებულია რამდენიმე ქვედანაყოფის საქმეები, მაშინ თითოეული ქვედანაყოფის სახელწოდება აღინიშნება ამ ქვედანაყოფის საქმეთა სათაურების ჯგუფის წინ. გასანადგურებლად შერჩეულ ერთგვაროვან საქმეთა სათაურები აქტში შეიტანება საერთო სათაურით ამ ჯგუფში შემავალ საქმეთა რაოდენობის მითითებით.

6. საარქივო დაწესებულებები ამოწმებენ მუდმივ შესანახად საქმეთა შერჩევის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ მოითხოვონ მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერებში შეიტანონ დროებით შესანახი თუ გასანადგურებლად შერჩეული საქმეები.

7. ა) გასანადგურებლად გამოყოფილი საქმეები გადაიცემა გადასამუშავებლად. საქმეთა გადაცემა ფორმდება მიღება-ჩაბარების ზედნადებით, რომელშიც მიეთითება გადაცემის თარიღი, ჩასაბარებელ საქმეთა რაოდენობა და ქაღალდის მაკულატურის წონა.

ბ) დატვირთვა და უტილიზაციაზე გატანა ხორციელდება არქივის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის კონტროლით.

## თავი IV
## საქმეთა გაფორმება, საქმეთა ანაწერების შედგენა და გაფორმება

**მუხლი 17. მოთხოვნები დაწესებულების არქივში მისაღებ საქმეთა გაფორმებისადმი**

1. საქმეთა გაფორმება ხდება საქმისწარმოების სამსახურის ან სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკების მიერ დაწესებულების არქივის მეთოდიკური დახმარებითა და კონტროლით. მათივე მოვალეობაში შედის საქმეთა შემოღება და ფორმირებაც.

2. შენახვის ვადების მიხედვით ტარდება საქმეთა სრული ან ნაწილობრივი გაფორმება.

3. ა) სრულ გაფორმებას ექვემდებარება მუდმივად, ხანგრძლივად შესანახი და პირადი შემადგენლობის საქმეები.

ბ) საქმეთა სრული გაფორმება ითვალისწინებს:

– საქმეთა ჩაკერებას ან აკინძვას;

– საქმის ფურცლების ნუმერაციას;

– დამადასტურებელი ფურცლის შედგენას;

– საჭირო შემთხვევაში დოკუმენტების შიგა ანაწერის შედგენას;

– საქმის გარეკანის რეკვიზიტებში საჭირო დაზუსტებების შეტანას (დაწესებულების სახელწოდების, საქმის სარეგისტრაციო ინდექსის, კიდური თარიღების, სათაურის დაზუსტება).

3. ა) დაწესებულების არქივი წარუდგენს იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს სამკითხველო დარბაზში გამოსაყენებლად, მათ შორის, პირების, ამონაწერების მოსამზადებლად, იმ ღია დოკუმენტებს, რომლებიც აღრიცხულია და გაიარეს სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, აქვთ ცნობარები და სხვა საძებნი საშუალებები.

ბ) დოკუმენტების გაცემაზე უარის თქმა ან ვადის გადადება დაიშვება შემდეგ შემთხვევებში:

– დოკუმენტების ცუდი ფიზიკური მდგომარეობის;

– საქართველოს კანონმდებლობით ან ფონდშემქმნელის მიერ დოკუმენტების შენახვისათვის გადაცემის დროს გამოსაყენებლად დადგენილი შეზღუდვების;

– არქივის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად დოკუმენტების სარგებლობის;

– დროებით სარგებლობისათვის ან სხვა მოსარგებლისთვის სამკითხველო დარბაზში დოკუმენტების გაცემის შემთხვევებში.

გ) არქივის უარი დოკუმენტების გაცემაზე ფორმდება წერილობით, რომელიც უნდა შეიცავდეს უარის მიზეზებს, შეზღუდვების მოქმედების ვადას, შეზღუდვების იურიდიულ საფუძველს, აგრეთვე უარის გასაჩივრების წესს.

4. არქივის სამკითხველო დარბაზში თითოეულ მოსარგებელზე, დაწესებულების მუშაკთა გარდა, შემოიღება ბარათი (დანართი №43).

5. საცავიდან საქმეები გაიცემა შეკვეთის შევსებული ბლანკის (დანართი №17) საფუძველზე და აღირიცხება საცავიდან საქმეთა გაცემის დავთარში (დანართი №19).

6. საცავიდან სამკითხველო დარბაზში თითოეულ გაცემულ საქმეს უნდა ჰქონდეს საქმის გამოყენების ფურცელი (დანართი №20).

**მუხლი 64. დოკუმენტების გაცემა დროებითი სარგებლობისათვის**

1. საქმეები გაეცემა დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს დროებითი სარგებლობისათვის ვადით არა უმეტეს 30 დღისა. არქივის მიერ ვადა შეიძლება გაგრძელდეს საქმეთა დაცვის გაცნობის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა.

2. ა) საქმეთა გაცემა დროებითი სარგებლობისათვის სხვა დაწესებულებაში მათი წერილობითი შეკითხვის მიხედვით ფორმდება აქტით (დანართი №18). აქტი დგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმღებს, ხოლო მეორე რჩება არქივში. აქტს ხელს აწერენ დოკუმენტების გადამცემი დაწესებულების და მიმღები დაწესებულების ხელმძღვანელები; მასზე დაისმება ორივე დაწესებულების გერბიანი ბეჭდები.

ბ) საქმეები გაიცემა არა უმეტეს სამი თვის ვადით.

3. დროებითი სარგებლობისათვის საქმეთა გაცემის დროს თითოეული საქმე რეგისტრირდება საცავიდან საქმეთა გაცემის დავთარში (დანართი №19), ხოლო გაცემული საქმის ადგილზე იდება შემცვლელი ბარათი (დანართი №21). შემცვლელი ბარათები არქივში ინახება საჭიროების გასვლამდე.

არქივში დაბრუნებული საქმეების მდგომარეობა შემოწმებულ უნდა იქნეს საქმის დამბრუნებელი პირის თანდასწრებით.

4. საცავიდან დროებით სარგებლობაში გაცემულ თითოეულ საქმეს უნდა ჰქონდეს საქმის გამოყენების ფურცელი (დანართი №20).

**მუხლი 65. არქივის დოკუმენტების გამოყენება საინფორმაციო ღონისძიებათა მომზადებისას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და საპუბლიკაციო საქმიანობაში**

1. ა) არქივი აწყობს დოკუმენტების გამოყენებას საინფორმაციო ღონისძიებების, გამოფენების მომზადებისას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, აგრეთვე აწყობს მათ პუბლიკაციას.

ბ) სამუშაო ტარდება როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა დაწესებულებებთან ან საარქივო დაწესებულებასთან ერთად. გამოფენებზე გამოიყენება დოკუმენტების დედნები ან პირები, მზადდება ალბომები, პლაკატები, დიაგრამები.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ერთად არქივი განსაზღვრავს მასალების თემატიკას, მოცულობას და მომზადების ვადებს; თემატიკას და ვადებს ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მომზადებული სტატიებისა და სხვა მასალების ეგზემპლარებში, რომლებიც არქივში რჩება, მიეთითება გამოყენებული დოკუმენტების საძებნი მონაცემები, აგრეთვე პუბლიკაციის თარიღი და ადგილი.

3. დაწესებულების არქივს შეუძლია დამოუკიდებლად ან სხვა დაწესებულებებთან ერთად ჩაატაროს სამუშაო დოკუმენტური პუბლიკაციების მოსამზადებლად. ამ სამუშაოს ყველაზე გავრცელებული ფორმაა დოკუმენტების საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციების მომზადება. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გამოიცეს დოკუმენტთა კრებულები. დოკუმენტური პუბლიკაციების მომზადების დროს საჭიროა საარქივო დაწესებულებების მუშაობის შესაბამისი წესებით ხელმძღვანელობა.

**მუხლი 66. არქივის საქმეებისა და დოკუმენტების გამოყენების აღრიცხვა**

არქივის საქმეებისა და დოკუმენტების გამოყენების აღრიცხვა ხორციელდება შემდეგ სააღრიცხვო ფორმებში:

1. საცავიდან საქმეთა გაცემის დავთარში (დანართი №19).

2. გაცემული პირების, ამონაწერების, ცნობების, ტექნიკური მასალების სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი №44).

3. სამკითხველო დარბაზის დასწრებათა სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი №45).

## თავი X
## არქივის დოკუმენტების მუდმივ შესანახად გადაცემის წესი

**მუხლი 67. დაწესებულებებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებითი შენახვის ზღვრული ვადები**

1. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები, რომლებიც დროებით ინახება დაწესებულების არქივში, გადაიცემა მუდმივ შესანახად.

2. დაწესებულების არქივი მუდმივ შესანახად გადასცემს დოკუმენტებს იმ საარქივო დაწესებულებას, რომლისთვისაც ეს ფონდშემქმნელი დაწესებულება დაკომპლექტების წყაროა.

3. საარქივო დაწესებულებას დოკუმენტები შესანახად გადაეცემა მოწესრიგებულ მდგომარეობაში შესაბამისი სამეცნიერო-საცნობარო აპარატითა და განსაკუთრებულად ღირებულ და უნიკალურ დოკუმენტებზე სადაზღვევო პირებით.

4. ,,ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებათა არქივებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვის ზღვრულ ვადებს ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

5. ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო დაწესებულებები და მუნიციპალური ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შერჩევას, მომზადებასა და მოწესრიგებულ მდგომარეობაში გადაცემას მუდმივ შესანახად. დოკუმენტების შერჩევასთან და მუდმივ შესანახად გადაცემის

მომზადებას, მათ შორის, დოკუმენტების მოწესრიგებასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო სრულდება დოკუმენტების გადამცემი ორგანოებისა და დაწესებულებების სახსრებით.

ბ) არასახელმწიფო დაწესებულებები უზრუნველყოფენ მათ მფლობელობაში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი საკუთრებისადმი მიკუთვნებული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შერჩევასა და მოწესრიგებულ მდგომარეობაში გადაცემას საარქივო დაწესებულებებში. ამ სამუშაოს ეს დაწესებულებები ახორციელებენ საკუთარი სახსრებით.

6. ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების რეორგანიზაციის დროს დოკუმენტები მოწესრიგებულ მდგომარეობაში გადაეცემა რეორგანიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამონაცვლეებს.

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურის ცვლილების დროს დოკუმენტები მოწესრიგებულ მდგომარეობაში გადაეცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ახლად ფორმირებულ ორგანოებს.

გ) სახელმწიფო დაწესებულებებისა და ადგილობრივი სამსახურების რეორგანიზაციის დროს დოკუმენტები მოწესრიგებულ მდგომარეობაში გადაეცემა რეორგანიზებული დაწესებულებების უფლებამონაცვლეებს. ამასთან, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ადგილობრივი სამსახურების გარდაქმნა მათი ქონების საკუთრების ფორმების ცვლილებით (აქციონერული, პრივატიზებული) დოკუმენტები შეიძლება გადაეცეს დროებით შესანახად ახლად შექმნილ უფლებამონაცვლე დაწესებულებებს.

დ) დაწესებულების რეორგანიზაციის დროს, როდესაც მისი შემადგენლობიდან დაწესებულების სტატუსით გამოიყოფა სტრუქტურული ქვედანაყოფი, ამ უკანასკნელს გადაეცემა მისი საქმიანობის პროფილის საქმისწარმოებით დამთავრებული საქმეები, აგრეთვე იმ თანამშრომელთა პირადი საქმეები და პირადი ანგარიშები, რომლებიც სამუშაოდ გადავიდნენ ამ ახალ დაწესებულებაში.

ე) არასახელმწიფო დაწესებულებების რეორგანიზაციის დროს დოკუმენტების შემდგომი შენახვის პირობები და ადგილი განისაზღვრება ამ დაწესებულებების დამფუძნებლების მიერ.

7. ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ადგილობრივი სამსახურების ლიკვიდაციის დროს ეროვნული საარქივო ფონდის, პირადი შემადგენლობისა და დროებით შესანახი დოკუმენტები, რომელთა შენახვის ვადები ჯერ არ გასულა, მოწესრიგებულ მდგომარეობაში შესანახად გადაეცემა შესაბამის საარქივო დაწესებულებას.

ბ) არასახელმწიფო დაწესებულებების ლიკვიდაციის დროს, მათ შორის, გაკოტრების შედეგად, მათი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ეროვნული საარქივო ფონდის, პირადი შემადგენლობის დოკუმენტები, აგრეთვე დოკუმენტები, რომელთა დროებითი შენახვის ვადები არ გასულა, სალიკვიდაციო კომისიის მიერ მოწესრიგებულ მდგომარეობაში გადაეცემა შესაბამის საარქივო დაწესებულებას სალიკვიდაციო კომისიასა და საარქივო დაწესებულებას შორის ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, სალიკვიდაციო კომისია აწყობს ლიკვიდირებული დაწესებულების, მათ შორის, გაკოტრებულის, დოკუმენტების მოწესრიგებას.

**მუხლი 68. არქივის დოკუმენტების მუდმივ შესანახად გადაცემის წესი**

1. ა) მუდმივად შესანახი დოკუმენტების გადაცემა საარქივო დაწესებულებაში, როგორც წესი, ხორციელდება ყოველწლიურად გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებენ დაწესებულების და შესაბამისი საარქივო დაწესებულების ხელმძღვანელები. დაწესებულებებში, სადაც მუდმივად შესანახი დოკუმენტები წლის განმავლობაში მცირე ოდენობით იქმნება, საარქივო დაწესებულებასთან შეთანხმებით დაიშვება დოკუმენტების გადაცემა 5 წელიწადში ერთხელ.

ბ) სამეცნიერო-ტექნიკური და სპეციალური დოკუმენტაცია, როგორც წესი, გადაიცემა 5 წელიწადში ერთხელ.

2. ა) დოკუმენტები საარქივო დაწესებულებაში გადაიცემა მისი საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დამტკიცებული საქმეთა ანაწერების მიხედვით.

ბ) საარქივო დაწესებულებაში დოკუმენტების პირველი გადაცემის დროს გადაიცემა დაწესებულების საარქივო ფონდის ისტორიული ცნობა. დოკუმენტების შემდგომი გადაცემის დროს ისტორიულ ცნობას ემატება მონაცემები იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც მოხდა დაწესებულების

სახელწოდებაში, ფუნქციებში, სტრუქტურაში, დაქვემდებარებაში, დოკუმენტების შემადგენლობასა და მდგომარეობაში.

გ) საქმეების გადაცემა ხდება სათითაოდ. ანაწერების ყველა ეგზემპლარზე აღინიშნება დოკუმენტების მიღება საარქივო დაწესებულებაში.

დ) მუდმივად შესანახი დოკუმენტების მიღება ფორმდება საქმეთა მიღება-გადაცემის აქტით.

ე) თუ გადაცემის დროს აღმოჩნდა სხვაობა ანაწერის შემაჯამებელ ჩანაწერსა და ფაქტობრივად არსებულ გადასაცემ საქმეთა შორის, ანაწერში ადგენენ ახალ შემაჯამებელ ჩანაწერს, რომელშიც მიეთითება ფაქტობრივად არსებულ და არარსებულ საქმეთა ნომრები. არარსებულ საქმეთა ნომრები აღინიშნება სახელმწიფო შესანახად დოკუმენტების მიღება-გადაცემის აქტში; მათი არარსებობის მიზეზები აისახება აქტთან თანდართულ დაწესებულების ცნობაში.

ვ) დაწესებულების არქივი ღებულობს ზომებს დოკუმენტების მოსაძებნად. არარსებულ დოკუმენტებზე, რომელთა მოძებნის ზომებმა უშედეგოდ ჩაიარეს, დგება აქტი დოკუმენტების დაკარგვის შესახებ. დოკუმენტების დაკარგული დედნები შეიძლება შეიცვალოს მათი პირებით.

3. დოკუმენტების მუდმივ შესანახად გადაცემამდე საარქივო დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად ტარდება საქმეთა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სისწორის, დოკუმენტების ფიზიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება. დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში დგება აქტი; აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრა ტარდება დაწესებულების ძალებით.

4. დოკუმენტებთან ერთად გადაიცემა ანაწერის სამი და საქმეთა მიღება-გადაცემის აქტის ერთი ეგზემპლარი.

## თავი XI
## არქივის მუშაობის ორგანიზაცია

### მუხლი 69. დაწესებულების არქივის შექმნა

1. ა) არქივის მუშაობა ორგანიზებულია არქივის დებულების შესაბამისად.

ბ) არქივის დებულებაში შეიტანება შემდეგი თავები: ძირითადი დებულებანი; არქივის დოკუმენტების შემადგენლობა; არქივის ამოცანები და ფუნქციები; არქივის უფლებები; არქივის მუშაობის ორგანიზაცია.

გ) საჭიროების შემთხვევაში არქივის დებულებას შეიძლება დაემატოს სხვა თავებიც.

2. ა) არქივი, რომელიც სტრუქტურული ქვედანაყოფია ან საქმისწარმოების სამსახურის ნაწილია, მისი დებულება თანხმდება შესაბამის საარქივო დაწესებულებასთან და მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

ბ) ხელისუფლების ორგანოს ცენტრალური არქივის (არქივის), ცენტრალური დარგობრივი არქივის დებულება თანხმდება საქართველოს ეროვნულ არქივთან.

3. ა) არქივის ხელმძღვანელი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით (განკარგულებით) შესაბამისი თანამდებობის პირების წარდგენით.

ბ) არქივის ხელმძღვანელი ორგანიზაციას უწევს არქივის მუშაობას და არქივზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე პერსონალური პასუხისმგებელია.

4. არქივზე პასუხისმგებელი პირი ამ თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით (განკარგულებით). არქივზე პასუხისმგებელი პირი გადის ინსტრუქტაჟს, ხოლო საჭირო შემთხვევაში სტაჟირებას იმ საარქივო დაწესებულებაში, რომელსაც სახელმწიფო შესანახად გადაეცემა დაწესებულების დოკუმენტები.

5. ა) არქივში საშტატო ნუსხის შესაბამისად არსებული თანამდებობებისათვის დგება თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებშიც მიეთითება არქივის მუშაკისათვის დაკისრებულ სამუშაოთა სახეობები, მისი უფლება-მოვალეობები.

ბ) თანამდებობრივი ინსტრუქციები თანხმდება დაწესებულებების იურიდიულ სამსახურებთან და შესაბამისად მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

6. ა) არქივების და საქმისწარმოების სამსახურების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ძირითადი ფორმებია კურსები, თათბირები, სემინარები.

ბ) დაწესებულების არქივისა და საქმისწარმოების სამსახურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება ტარდება მის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. კვალიფიკაციის ასამაღლებელი მეცადინეობების მომზადება და ჩატარება ხორციელდება არქივის მიერ საქმისწარმოების სამსახურსა და კადრების განყოფილებასთან ერთად.

7. ა) საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების ცენტრალურ არქივებს, ცენტრალურ დარგობრივ არქივებს შეუძლიათ ორგანიზაცია გაუწიონ, შეიმუშაონ და მონაწილეობა მიიღონ დარგობრივი დანიშნულების ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტების (დოკუმენტთა კატეგორიების სხვადასხვა ნუსხების, საქმისწარმოების ტიპობრივი (სანიმუშო) ინსტრუქციების, საქმეთა ტიპობრივი (სანიმუშო) ნომენკლატურებისა და ა.შ.) მომზადებაში როგორც შიდა საქმიანობაში, ასევე მათ გამოსაყენებლად დოკუმენტებზე მუშაობისას სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში.

ბ) დარგობრივი ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტების საფუძველზე დარგის დაწესებულებათა არქივები შეიმუშავებენ დოკუმენტებზე მუშაობისა და მათი შენახვის ორგანიზაციის კონკრეტულ ნორმატიულ-მეთოდიკურ დოკუმენტებს.

გ) არქივის მიერ მომზადებული ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტების (ნუსხების, ნომენკლატურების და სხვა) პროექტები მათ დამტკიცებამდე ან ხელმოწერამდე დაწესებულების ან იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც ფუნქციონირებს არქივი, შესათანხმებლად წარედგინება შესაბამის საარქივო დაწესებულებას.

**მუხლი 70. არქივის მუშაობის დაგეგმვა და ანგარიშგება**

1. არქივში დგება: წლიური სამუშაო გეგმა (დანართი №46), არქივში საქმეთა მიღების გეგმა-გრაფიკი.

2. წლიური გეგმა დგება სამუშაოთა კონკრეტული სახეობების მითითებით.

3. არქივში საქმეთა მიღების გეგმა-გრაფიკი თანხმდება სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და დაქვემდებარებულ დაწესებულებებთან და მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

4. მუშაობის შედეგების მიხედვით არქივის მიერ დგება წლიური გეგმის, გეგმა-გრაფიკების შესრულების ანგარიშები, აგრეთვე ცნობები წლიური გეგმის გარდა შესრულებული სხვა ღონისძიებების შესახებ. ეს უკანასკნელი აისახება ანგარიშის ბოლოს, საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებელი განყოფილებით.

5. არქივში შრომის აღრიცხვა ხორციელდება სამუშაო დროის სააღრიცხვო ტაბელსა და შრომის სააღრიცხვო დღიურებში.

**მუხლი 71. სტრუქტურული ქვედანაყოფების დოკუმენტების შენახვის მდგომარეობისა და საქმისწარმოებაში მათი ორგანიზაციის კონტროლი**

1. ა) არქივი ატარებს სტრუქტურული ქვედანაყოფების დოკუმენტების შენახვის მდგომარეობისა და საქმისწარმოებაში მათი ორგანიზაციის შემოწმებას წელიწადში ერთხელ მაინც და, როგორც წესი, არქივში საქმეთა გადაცემის წინ. შემოწმებების ორგანიზაცია შემადგენლობითი ნაწილით უნდა შედიოდეს არქივის წლიურ სამუშაო გეგმაში. დოკუმენტების მდგომარეობისა და მათზე მუშაობის კონტროლის ხარისხობრივი ანალიზის განხორციელების მიზნით არქივის მიერ წარმოებს დაწესებულებასთან მუშაობის სააღრიცხვო ბარათი (დანართი №47).

ბ) დაწესებულების თუ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელებს წინასწარ აცნობებენ შემოწმების ჩატარების შესახებ.

გ) თითოეული შემოწმების შედეგების მიხედვით დგება ცნობა ან მოხსენებითი ბარათი დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე, რომელშიც აისახება არსებული მდგომარეობა და ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დ) შემოწმების შედეგები უნდა გააცნონ უშუალო შემსრულებლებსა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს.

2. საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების ცენტრალური არქივები, ცენტრალური დარგობრივი არქივები მათი დებულებების შესაბამისად ახორციელებს საქვეუწყებო დაწესებულებების არქივების მდგომარეობისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის კონტროლს.

**მუხლი 72. დოკუმენტების მიღება-გადაცემა არქივის ხელმძღვანელის შეცვლის დროს**

1. ა) არქივის ხელმძღვანელის შეცვლის დროს დოკუმენტებისა და მათი საცნობარო აპარატის, აგრეთვე არქივის სათავსების, ინვენტარისა და მოწყობილობის მიღება-გადაცემა ხორციელდება აქტით (დანართი № 48).

ბ) არქივის ხელმძღვანელის საქმეების მიღება-გადაცემისათვის დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით (განკარგულებით) ინიშნება კომისია არა ნაკლებ სამი კაცისა. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნეს საქმისწარმოების სამსახურის წარმომადგენელი.

2. საქმეთა მიღება-გადაცემის დროს საჭიროა შემოწმდეს:

ა) არქივის დოკუმენტების, მათ შორის, განსაკუთრებულად ღირებული საქმეებისა და განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების სადაზღვევო პირების არსებობა და მდგომარეობა;

ბ) სააღრიცხვო დოკუმენტებისა და დოკუმენტების საცნობარო აპარატის (არქივის პასპორტის, საქმეთა ანაწერებისა და მათი შემცვლელი საქმეთა ნომენკლატურების, ფონდების ფურცლებისა და ფონდების ბარათების, დოკუმენტების შემოსვლისა და გასვლის დავთრების, საცნობარო ბარათების) არსებობა და მდგომარეობა;

გ) არქივის ბეჭდებისა და შტამპების არსებობა და მდგომარეობა (მათი არსებობის შემთხვევაში);

დ) ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვითი მოწყობილობების არსებობა და მდგომარეობა;

ე) დოკუმენტების შენახვის პირობები.

**მუხლი 73. დოკუმენტების მიღება-გადაცემის წესი დაწესებულების რეორგანიზაციის დროს**

1. ა) დაწესებულების დოკუმენტების მიღება-გადაცემის წესი მისი რეორგანიზაციის დროს განისაზღვრება ნორმატიული აქტით დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ.

ბ) სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობაში დაწესებულების ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა შედიოდეს შესაბამისი საარქივო დაწესებულების წარმომადგენელი.

2. რეორგანიზებული დაწესებულების დოკუმენტების გადაცემის წინ ტარდება საქმისწარმოებასა და არქივში დაცული საქმეების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება, აგრეთვე მათი სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება. თუ რეორგანიზებული დაწესებულების დოკუმენტების მდგომარეობა და დამუშავების ხარისხი არ შეესაბამება წინამდებარე წესების მოთხოვნებს, სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია ორგანიზაცია გაუწიოს დოკუმენტების მოწესრიგებას ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად და ამის შემდეგ გადასცეს დოკუმენტები დანიშნულებისამებრ.

*დანართი №1*

*მე-10 მუხლის პირველი პუნქტის*

*„ა“ ქვეპუნქტის*

დაწესებულების დასახელება
საქმეთა ნომენკლატურა
————— № —————
______________________
(შედგენის ადგილი)
—————— წლისათვის

ვამტკიცებ
დაწესებულების ხელმძღვანელის
თანამდებობის დასახელება
ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

| საქმის ინდექსი | საქმის სათაური | შეს. ერთ. რაოდენობა | შენახვის ვადა და მუხლის № ნუსხ. მიხედვით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| განყოფილების სახელწოდება | | | | |
| | | | | |

დაწესებულების საქმისწარმოების
სამსახურის ხელმძღვანელის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

არქივის ხელმძღვანელის
(არქივზე პასუხისმგებელი პირის) ვიზა

მოწონებულია
ცენტრალური საექსპერტო
(საექსპერტო) კომისიის მიერ
—————№————— ოქმი

შეთანხმებულია
საარქივო დაწესებულების
საექსპერტო-შემმოწმებელ
კომისიასთან
————№———— ოქმი

ფორმატი ა4 (210X297მმ)

დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის ფორმა

შემაჯამებელი ჩანაწერი დაწესებულებაში —————— წელს
შემოღებულ საქმეთა კატეგორიებისა და რაოდენობის შესახებ

| შენახვის ვადების მიხედვით | სულ | მათ შორის: | |
|---|---|---|---|
| | | გარდამავალი ნიშნით „სშკ“ | |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| მუდმივად | | | |
| ხანგრძლივად (10 წელზე მეტხანს) | | | |
| დროებით (10 წლის ჩათვლით) | | | |
| სულ: | | | |

საქმისწარმოების სამსახურის
ხელმძღვანელის თანამდებობის

დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

შემაჯამებელი ცნობები გადაცემულია არქივში

ცნობების გადამცემი პირის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურის შემაჯამებელი ჩანაწერის ფორმა

*დანართი №2*

*მე-10 მუხლის პირველი პუნქტის*

*„ა“ ქვეპუნქტის*

დაწესებულების დასახელება
სტრუქტურული ქვედანაყოფის
დასახელება
საქმეთა ნომენკლატურა
________ № __________

_____________________
(შედგენის ადგილი)
___________ წლისათვის

| საქმის ინდექსი | საქმის სათაური | შეს. ერთ. რაოდენობა | შენახვის ვადა და მუხლის № ნუსხის მიხედვით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

სტრუქტურული ქვედანაყოფის
ხელმძღვანელის თანამდებობის
დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

არქივის ხელმძღვანელის
(არქივზე პასუხისმგებელი პირის)
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

ფორმატი ა4 (210X297მმ)

დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმეთა ნომენკლატურის ფორმა

*დანართი №3*

*მე-16 მუხლის პირველი პუნქტის*

*ვამტკიცებ*

დაწესებულების დასახელება
ფონდი №——————
———— წლის (წლების)
მუდმივად შესანახ საქმეთა
ანაწერი № —————

დაწესებულების ხელმძღვანელის
თანამდებობის დასახელება
ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

| № რიგ. | საქმის ინდექსი | საქმის სათაური | კიდური თარიღები | ფურცლების რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |

ანაწერში შეტანილია ————————————————————————
(ციფრებითა და სიტყვებით)

შეს. ერთ. №————— დან №————— ჩათვლით, მათ შორის:
სალიტერო ნომრები: ———————————————————————
გამოტოვებული ნომრები: ——————————————————————

ანაწერის შემდგენლის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

არქივის ხელმძღვანელის
(არქივზე პასუხისმგებელი პირის)
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

დამტკიცებულია
საარქივო დაწესებულების
საექსპერტო-შემმოწმებელი
კომისიის მიერ
————№———— ოქმი

მოწონებულია
დაწესებულების ცენტრალური
საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის მიერ
—————№————— ოქმი

ფორმატი ა4 (210X297მმ)

მუდმივად შესანახ საქმეთა კრებსითი ანაწერის ფორმა

*დანართი №4*

*მე-16 მუხლის პირველი პუნქტის*

| | |
|---|---|
| დაწესებულების დასახელება | ვამტკიცებ |
| ფონდი №——————— | დაწესებულების ხელმძღვანელის |
| ———— წლის (წლების) | თანამდებობის დასახელება |
| ხანგრძლივად შესანახ საქმეთა | ხელმოწერა ხელმოწერის |
| ანაწერი № —————— | თარიღი გაშიფვრა |

| № რიგ. | საქმის ინდექსი | საქმის სათაური | კიდური თარიღები | შენახვის ვადა | ფურცლების რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |

ანაწერში შეტანილია ————————————————————————
(ციფრებითა და სიტყვებით)

შეს. ერთ. №—————— დან №—————— ჩათვლით, მათ შორის:
სალიტერო ნომრები: ——————————————————————
გამოტოვებული ნომრები: ——————————————————

ანაწერის შემდგენლის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

არქივის ხელმძღვანელის
(არქივზე პასუხისმგებელი პირის)
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

მოწონებულია
დაწესებულების ცენტრალური
საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის
მიერ
————№———— ოქმი

ფორმატი ა4 (210X297მმ)

ხანგრძლივად შესანახ საქმეთა კრებსითი ანაწერის ფორმა

*დანართი №5*

*მე-16 მუხლის პირველი პუნქტის*

დაწესებულების დასახელება
ფონდი №——————
———— წლის (წლების)
პირადი შემადგენლობის საქმეთა
ანაწერი № —————

ვამტკიცებ
დაწესებულების ხელმძღვანელის
თანამდებობის დასახელება
ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

| № რიგ. | საქმის ინდექსი | საქმის სათაური | კიდური თარიღები | ფურცლების რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | | | | | |

ანაწერში შეტანილია ——————————————————————
(ციფრებითა და სიტყვებით)

შეს. ერთ. №————— დან №————— ჩათვლით, მათ შორის:
სალიტერო ნომრები: ——————————————————————
გამოტოვებული ნომრები: ——————————————————

ანაწერის შემდგენლის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

კადრების სამსახურის უფროსი
(კადრების ინსპექტორი) ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

მოწონებულია
დაწესებულების ცენტრალური
საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის მიერ
—————№————— ოქმი

შეთანხმებულია
საარქივო დაწესებულების
საექსპერტო-შემმოწმებელ
კომისიასთან
—————№————— ოქმი

ფორმატი ა4 (210X297მმ)

პირადი შემადგენლობის საქმეთა ანაწერის ფორმა

*დანართი №6*

*მე-16 მუხლის პირველი პუნქტის*

დაწესებულების დასახელება

აქტი

———— № ————

——————————

(შედგენის ადგილი)

დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ, რომლებიც შენახვას არ ექვემდებარებიან

ვამტკიცებ

დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობის დასახელება

ხელმოწერა ხელმოწერის

თარიღი გაშიფვრა

---

(დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) სახელწოდება)

———————————————— საფუძველზე

გასანადგურებლად შერჩეულია ფონდ. № ———————————— დოკუმენტები,

(ფონდის სახელწოდება)

რომლებსაც არ გააჩნიათ სამეცნიერო-ისტორიული ფასეულობა და დაკარგეს პრაქტიკული მნიშვნელობა,

| № რიგ. | საქმის ან დოკუმენტების ჯგუფური სათაური | კიდური თარიღები | ანაწერების ნომრები | საქმის ინდექსი ნომენკ-ის მიხ-ით ან საქმის № ანაწ. მიხედვ. | შეს.ერთ. რაოდენობა | შენახვის ვადები და მუხლების ნომრ. ნუსხის მიხედვით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

სულ ——————— წლების ——————————— შეს. ერთ

(ციფრებითა და სიტყვებით)

——————————— წლების მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერები

დამტკიცებულია, პირადი შემადგენლობის შეთანხმებულია

———————————————— საექსპეტრო-შემმოწმებელ კომისიასთან

(საარქივო დაწესებულების დასახელება)

(. . . № ——— ოქმი)

დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩამტარებელი პირის თანამდებობის

დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის

თარიღი გაშიფვრა

მოწონებულია

ცენტრალური საექსპერტო

(საექსპერტო) კომისიის მიერ

. . . № ——— ოქმი

დოკუმენტები ———————————— შეს. ერთ. რაოდენობით,

(ციფრებითა და სიტყვებით)

წონით ———კგ ჩაბარებულია ———————————— გადასამუშავებლად

(ორგანიზაციის დასახელება)

მიღება-ჩაბარების ———— № ——— ზედნადებით.

დოკუმენტების ჩამბარებელი მუშაკის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

ცვლილებები სააღრიცხვო დოკუმენტებში შეტანილია.

სააღრიცხვო დოკუმენტებში
შემტანი არქივის მუშაკის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

ფორმატი ა4 (210X297მმ)

დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფის აქტის ფორმა, რომლებიც შენახვას არ ექვემდებარება

*დანართი №7*

*მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის*

---

(საარქივო დაწესებულების სახელწოდება)

---

(დაწესებულების სახელწოდება)

ფონდი № ———
ანაწერი № ———

---

(ანაწერის სახელწოდება)

---

(კიდური თარიღები)

ფორმატი ა4 (210X297მმ)

მუდმივად შესანახი ელექტრონული დოკუმენტების ანაწერის სატიტულო ფურცლის ფორმა

ფონდი № ––––––
ანაწერი № –––––
––––––– წლის (წლების)

დამტკიცებულია
–––––––––––––––––––––––––––––––––
(საარქივო დაწესებულების სახელწოდება)

საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ
––––––––– № ––––––––– ოქმი

| სააღრიცხვო ერთ. № | შეს. ერთ. № | სააღრიცხვო ერთეულის სათაური | შექმნის თარიღი | მოცულობა (მეგაბაიტებში) | ჩანაწერების რაოდენობა (მონაცემთა ბაზებისათვის) | მონაცემთა ფორმატი | ტექსტიანი თანდართული დოკ-ის შემადგენლობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |

სულ ანაწერში შეტანილია –––––––––––––––––––––––––– სააღრიცხვო ერთ. № ––––– დან № –––––– ჩათვლით,
(ციფრებითა და სიტყვებით)

––––––––––––––––––––––– შეს. ერთ. № –––––– დან № ––––– ჩათვლით მოცულობით –––––––– მეგაბაიტი.
(ციფრებითა და სიტყვებით)

ანაწერის შემდგენლის თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

მოწონებულია
დაწესებულების ცენტრალური
საექსპერტო (საექსპერტო) კომისიის მიერ
––––––– № –––––––– ოქმი
დაწესებულების ცენტრალური საექსპერტო (საექსპერტო)
კომისიის თავმჯდომარე ––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––––
(თანამდებობა, ხელმოწერა, ხელმოწერის გაშიფვრა)

ფორმატი ა4 (210X297მმ)

მუდმივად შესანახი ელექტრონული დოკუმენტების ანაწერის ფორმა

*დანართი №8*

*44-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი*

# № ——— ფონდის ფურცელი

_____________________________________ _____________________________________

(ფონდის ადგილმდებარეობა (დაწესებულების დასახელება, სადაც ფონდი ინახება)

(ფონდის დოკუმენტების პირველი შემოსვლის თარიღი)

| ფონდის თითოეული სახელწოდების კიდური თარიღი | ფონდის სახელწოდება |
|---|---|
| 1 | 2 |
| | |

1. აუწერელი დოკუმენტების აღრიცხვა

| ჩაწერის თარიღი | დოკუმენტის სახელწოდება, № და თარიღი, რომლითაც შემოვიდა თუ გავიდა დოკუმენტები | შემოსვლა | | გასვლა | | არსებობა (ნაშთი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | შეს. ერთ. რაოდენობა | კიდური თარიღები | შეს. ერთ. რაოდენობა | კიდური თარიღები | სულ შეს. ერთ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |

ფონდის ფურცლის ფორმა

2. აღწერილი დოკუმენტების აღრიცხვა

<table>
<tr><th rowspan="5">ჩაწერის თარიღი</th><th rowspan="5">საქმეთა ანაწერის №</th><th rowspan="5">საქმეთა კიდური თარიღები</th><th rowspan="5">ანაწერის სახელწოდება ან დოკუმენტების ანოტაცია</th><th rowspan="5">შემოვიდა საქმეები</th><th colspan="4">გასვლა</th><th colspan="7">არსებობა (ნაშთი)</th><th rowspan="5">მუდმივად შესანახი საქმეები მიკროფილ-მირებულია</th></tr>
<tr><th rowspan="4">საქმეების</th><th rowspan="4">გასვლის საფუძველი (დოკ. სახელწოდება, თარიღი, №)</th><th colspan="2" rowspan="2">მათ შორის, საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დამტკიცებული ანაწერების მიხედვით</th><th rowspan="4">შესანახი ერთეული</th><th colspan="6">მათ შორის</th></tr>
<tr><th colspan="4">მუდმივად შესანახი</th><th colspan="2">პირადი შემადგ-ის</th></tr>
<tr><th rowspan="2">შეს. ერთ.</th><th rowspan="2">კიდური თარიღები</th><th rowspan="2">საქმეების</th><th rowspan="2">საქმეთა კიდური თარიღები</th><th colspan="2">მათ შორის საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დამტკიცებული ანაწერების მიხედვით</th><th rowspan="2">შეს. ერთეული</th><th rowspan="2">კიდური თარიღები</th></tr>
<tr><th>შეს. ერთეული</th><th>კიდური თარიღები</th></tr>
<tr><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td><td>6</td><td>7</td><td>8</td><td>9</td><td>10</td><td>11</td><td>12</td><td>13</td><td>14</td><td>15</td><td>16</td><td>17</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

ფორმატი ა4 (210X297მმ)

ფონდის ფურცლის ფორმა

*დანართი №9*

*მე-17 მუხლის მე-16 პუნქტის*

## № —— საქმის დამადასტურებელი ფურცელი

საქმეში ჩაკერებულია და დანომრილია —————————————— ფურცელი, მათ შორის:
(ციფრებით და სიტყვებით)

ფურცლების სალიტერო ნომრები ——————————————
ფურცლების გამოტოვებული ნომრები ——————————————
შიგა ანაწერის ფურცლები ——————————————

| საქმეთა ფიზიკური მდგომარეობისა და ფორმირების თავისებურებანი | ფურცლების ნომრები |
|---|---|
| 1 | 2 |
| | |

მუშაკის თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის გაშიფვრა
თარიღი

ფორმატი ა4 (210X297მმ)

საქმის დამადასტურებელი ფურცლის ფორმა

*დანართი №10*

*მე-17 მუხლის მე-17 პუნქტის*

## № ——— შეს. ერთ. დოკუმენტების

## შიგა ანაწერი

| № რიგ. | დოკუმენტის ინდექსი | დოკუმენტის თარიღი | დოკუმენტის სათაური | შეს. ერთ. ფურცლების ნომრები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | | | | | |

სულ ——————————————————————————— დოკუმენტი
(ციფრებითა და სიტყვებით)

შიგა ანაწერის ფურცლების რაოდენობა ——————————————
(ციფრებითა და სიტყვებით)

საქმის დოკუმენტების
შიგა ანაწერის შემდგენელი
პირის თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

ფორმატი ა4 (210X297მმ)

საქმის დოკუმენტების შიგა ანაწერის ფორმა

*დანართი №11*

*მე-17 მუხლის მე-18 პუნქტის*

საარქივო დაწესებულების კოდი ———

დაწესებულების კოდი ———

__________________________________________

__________________________________________

__________________________________________

__________________________________________

საარქივო დაწესებულების დასახელება)

| |
|---|
| ფ. № ———————— |
| ან. № ———————— |
| საქ. № ———————— |

__________________________________________________________________________

__________________________________________________________________________

__________________________________________________________________________

__________________________________________________________________________

(დაწესებულების და სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება)

საქმე № --------    ტომი № ------

__________________________________________________________________________

__________________________________________________________________________

__________________________________________________________________________

__________________________________________________________________________

(საქმის სათაური)

| |
|---|
| ფ. № ———————— |
| ან. № ———————— |
| საქ. № ———————— |

___________________________________________

(კიდური თარიღები)

———————— ფურცელზე

ინახება ——————————

ფორმატი ა4 (210X297მმ)

მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი  საქმის გარეკანის ფორმა

*დანართი №12*

*მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის*

___________________________________________________________________________

(დაწესებულების დასახელება)

___________________________________________________________________________

(სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება)

ვამტკიცებ
სტრუქტურული ქვედანაყოფის
ხელმძღვანელის თანამდებობის
დასახელება
ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

## ანაწერი №-------

| № რიგ. | საქმის ინდექსი | საქმის სათაური | კიდური თარიღები | ფურცლების რაოდენობა | შენახვის ვადა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6[1] | 7 |

ანაწერში შეტანილია ———————————————————————
(ციფრებითა და სიტყვებით)

შეს. ერთ. № ——— დან № ——— ჩათვლით, მათ შორის :
სალიტერო ნომრები: ——————————————
გამოტოვებული ნომრები: ————————————

ანაწერის შემდგენლის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

შეთანხმებულია
საქმისწარმოების სამსახურის
ხელმძღვანელის თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

ფორმატი ა4 (210X297მმ)

დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის მუდმივად, ხანგრძლივად შესანახი და პირადი შემადგენლობის საქმეთა ანაწერის ფორმა

[1] მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერებში მე-6 გრაფა ამოიღება.

*დანართი №13*

*მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის*

გადავეცი ———————————————————————————— შეს. ერთ. და

**(ციფრებითა და სიტყვებით)**

——————————— დოკუმენტის სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათები.[3]

**(ციფრებითა და სიტყვებით)**

სტრუქტურული ქვედანაყოფის
თანამშრომლის თანამდებობის
დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

მივიღე ———————————————————————————— შეს. ერთ. და

**(ციფრებითა და სიტყვებით)**

————————————— დოკუმენტის სარეგისტრაციო-საკონტროლო ბარათები.

**(ციფრებითა და სიტყვებით)**

დაწესებულბის არქივის მუშაკის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

ფორმატი ა4 (210X297მმ)

შემაჯამებელი ჩანაწერის და დამადასტურებელი წარწერის ფორმა

[3] გადაიცემა კანცელარიის საქმეებთან ერთად.

*დანართი №14*

*მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის*

____________________________________________________________

(საარქივო დაწესებულების სახელწოდება[4])

____________________________________________________________

(ფონდის სახელწოდება)

ფონდი № ———

ანაწერი № ——

____________________________________________________________

(ანაწერის სახელწოდება)

დოკუმენტების კიდური თარიღები ———————————

ფორმატი ა4 (210X297მმ)

მუდმივად შესანახი დოკუმენტების ანაწერის სატიტულო ფურცლის ფორმა

[4] შეივსება საარქივო დაწესებულებაში.

*დანართი №15*

*28-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის*

დაწესებულების დასახელება
სასტელაჟო ტოპოგრაფიული
საძიებლის ბარათი

სტელაჟი № -----------　　　　　　　　საცავი № --------

| კარადა № | თარო № | ფონდი № | ანაწერი № | საქმეები № ------- დან № --------- ჩათვლით | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | | | | | |

ფორმატი ა6 (148X105მმ)

სასტელაჟო ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათის ფორმა (წინა პირი)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

სასტელაჟო ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათის ფორმა (უკანა მხარე)

*დანართი №16*

*28-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის*

დაწესებულების დასახელება
საფონდო ტოპოგრაფიული
საძიებლის ბარათი

ფონდი № -----------                                        საცავი № --------

ფონდის სახელწოდება ————————————————————————————
————————————————————————————————————
————————————————————————————————————

| ანაწერი № | საქმეები №------ დან<br>№ ---------- ჩათვლით | სტელაჟი № | კარადა № | თარო № | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | | | | | |

ფორმატი ა4 (210X297მმ)

საფონდო ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათის სანიმუშო ფორმა

*დანართი №17*

*29-მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის*

დაწესებულების დასახელება
არქივის სახელწოდება
შეკვეთა (მოთხოვნა)
———— № ————
————————————
(შედგენის ადგილი)
დოკუმენტების გაცემაზე

ნება დაერთოს
საქმეთა გაცემას
არქივის ხელმძღვანელი
(სამკითხველო დარბაზის გამგე)
ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

______________________________________________________________

(მკვლევარის; სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაკის სახელი და გვარი)

______________________________________________________________

(კვლევის თემა)

| ფონდი № | ანაწერის № | შეს, ერთ.№ | შეს. ერთ, სათაური | მოსარგებლის ხელმოწერა მიღებაზე | სამკითხ. დარბაზის თანამშრომლის ხელმოწერა მიღებაზე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | | | | | |

ფორმატი ა5 (148X210მმ)

შეკვეთის ფორმა საქმეთა გაცემაზე (წინა პირი)

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

მკვლევარის ხელმოწერა

შეკვეთის ფორმა საქმეთა გაცემაზე (უკანა მხარე)

*დანართი №18*

*29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის*

დაწესებულების დასახელება
აქტი
———— № ————
_____________________________
(შედგენის ადგილი)
______________________________
(დაწესებულების დასახელება,
______________________________
მისამართი, საფოსტო ინდექსი)
დროებით სარგებლობაში საქმეთა
გაცემის შესახებ

საფუძველი ————————————————————————

_______________________________________________________________

რა მიზნით გაიცემა საქმეები ———————————————————

ფონდიდან № ——————————————— გაიცემა შემდეგი შეს. ერთ.
(ფონდის სახელწოდება)

| № რიგ. | ანაწერი № | შეს. ერთ. № | შეს. ერთ. სათაური | კიდური თარიღები | ფურცლების რაოდენობა (ჰგერადობის დრო, მეტრაჟი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |

სულ გაიცემა ——————————————————————— შეს. ერთ.
(ციფრებითა და სიტყვებით)
დაბრუნების ვადა ——————————————————

საქმეები გაცემულია მოწესრიგებულ მდგომარეობაში, ჩაკერებულია, ჩასმულია ყდებში, დანომრილი ფურცლებითა და დამადასტურებელი წარწერებით.

მიმღები ვალდებულია არ გადასცეს უცხო პირებს დროებით სარგებლობაში მიღებული საქმეები, არ გასცეს მათი პირები, ამონაწერები და ცნობები, საქმეთა გამცემი დაწესებულების ნებართვის გარეშე არ გამოაქვეყნოს დოკუმენტები.

მიმღები ვალდებულია დაწესებულების არქივში დააბრუნოს დოკუმენტი აქტში მითითებულ ვადაში.

მიმღები გაფრთხილებულია კანონის მიხედვით პასუხისმგებლობაზე დროებით სარგებლობაში მიღებული საქმეების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში.

საქმეთა გამცემი დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობის დასახელება
ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

დაწესებულების გერბიანი ბეჭედი

მიმღები დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობის დასახელება
ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

დაწესებულების გერბიანი ბეჭედი

______________________________ ხელმძღვანელობის დავალებით საქმეები გავეცი
(დაწესებულების დასახელება)

დაწესებულების არქივის ხელმძღვანელი
(არქივზე პასუხისმგებელი პირი) ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

______________________________ ხელმძღვანელობის დავალებით საქმეები მივიღე
(დაწესებულების დასახელება)

დაწესებულების არქივის ხელმძღვანელი
(არქივზე პასუხისმგებელი პირი) ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

საქმეები დაბრუნებულია სრული მოცულობითა და დაცვით.

ჩავაბარე მიმღები დაწესებულების ხელმძღვანელობის დავალებით

დაწესებულების არქივის ხელმძღვანელი
(არქივზე პასუხისმგებელი პირი) ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

მივიღე საქმეთა გამცემი დაწესებულების ხელმძღვანელობის დავალებით.

დაწესებულების არქივის ხელმძღვანელი
(არქივზე პასუხისმგებელი პირი) ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

ფორმატი ა4 (210X297მმ)

დროებით სარგებლობაში საქმეთა გაცემის აქტის ფორმა

*დანართი №19*

*29-ე მუხლის მე-4 პუნქტის*

დაწესებულების დასახელება

### დოკუმენტების გაცემის დავთარი № ———

დაწყებულია ——————

დამთავრებულია —————

ფორმატი ა4 (210X297მმ)

დოკუმენტების გაცემის დავთრის სატიტულო ფურცლის ფორმა

| № რიგ. | გაცემის თარიღი | ფონდი № | ანაწერი № | შეს. ერთ. № | ვის გაეცა | ხელმოწერა საქმის მიღებაზე | საქმის დაბრუნების თარიღი | ხელმოწერა საქმის დაბრუნებაზე | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | | | | | | | | | |

სულ ———— წელს № ———— საცავიდან გაცემულია

—————————————————————————— შეს. ერთ.

(ციფრებითა და სიტყვებით)

შემაჯამებელი ჩანაწერის
შემდგენელი მუშაკის
თანამდებობის დასახელება ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

ფორმატი ა4 (210X297მმ)

საცავიდან საქმეთა გაცემის დავთრის ფორმა

*დანართი №20*

*29-ე მუხლის მე-8 პუნქტის*

დაწესებულების დასახელება

## დოკუმენტების გამოყენების ფურცელი

ფონდი № -----------        ანაწერი № -----------        საქმე № -----------

საქმის სათაური ———————————————————————

| გამოყენების თარიღი | ვის გაეცა: სახელი და გვარი (გარკვევით) | გამოყენების ხასიათი (პირის გადაღება, ამონაწერები, გადათვალიერება და სხვ.) | გამოყენებული ფურცლების № № | საქმის გამომყენებელი პირის ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | | | | |

ფორმატი ა4 (210X297მმ)

დოკუმენტების გამოყენების ფურცლის ფორმა

*დანართი №21*

*29-ე მუხლის მე-9 პუნქტის*

დაწესებულების დასახელება

## საქმის შემცველი ბარათი

საქმე ———————————————————————————

(№ და სახელწოდება)

ანაწერი ———————————————————————————

(№ და სახელწოდება)

ფონდი ———————————————————————————

(№ და სახელწოდება)

გაცემულია დროებით სარგებლობაში (სამკითხველო დარბაზში)

| № რიგ. | მოსარგებლის სახელი და გვარი | გაცემის თარიღი | დაბრუნების თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | | | |

ფორმატი ა4 (210X297მმ)

საქმის შემცველი ბარათის ფორმა

*დანართი №22*

*31-ე მუხლის მე-5 პუნქტის*

დაწესებულების დასახელება
არქივის დასახელება
აქტი
———— № ————
——————————————
(შედგენის ადგილი)
——————————————
(მუდმივად, ხანგრძლივად შესანა,
პირადი შემადგენლობის

ვამტკიცებ
დაწესებულების ხელმძღვანელის
თანამდებობის
დასახელება
ხელმოწერა ხელმოწერის
თარიღი გაშიფვრა

საქმეტა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების

ფონდი № ——————————————————

საფუძველი ————————————————————————————————
(საგეგმო შემოწმება, დოკუმენტების გადაადგილება,, სტიქიური უბედურება და აშ.)

---

შედგენილია კომისიი ს მიერ

კომისიის თავმჯდომარე ——————————————————————
(თანამდებობის დასახელება, სახელი, გვარი)

კომისიის წევრები ——————————————————————
(თანამდებობის დასახელება, სახელები, გვარები)

---

შემოწმება ტარდებოდა -----დან -----------------მდე

შემოწმებით დადგინდა

1. სულ ანაწერების მიხედვით ირიცხება —————————————— საქმე,
(ციფრებითა და სიტყვებით)

მათ შორის, საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დამტკიცებული (შეთანხმებული) ანაწერების მიხედვით

————————————————————————————— საქმე.
(ციფრებითა და სიტყვებით)

2. სულ ადგილზე არ აღმოჩნდა ————————————————— საქმე,
(ციფრებითა და სიტყვებით)

მათ შორის, საარქივო დაწესებულების საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დამტკიცებული (შეთანხმებული) ანაწერების მიხედვით

————————————————————————————— საქმე.
(ციფრებითა და სიტყვებით)

3. სალიტერო ნომრები აქვთ:
ა) ანაწერების შემაჯამებელ ჩანაწერებში აღურიცხავ
———————————————————————— საქმეს;
(ციფრებითა და სიტყვებით)

ბ) ჩამოუთვლელ, მაგრამ ანაწერების შემაჯამებელ ჩანაწერებში აღრიცხულ

———————————————————————— საქმეს.
(ციფრებითა და სიტყვებით)

4. გამოტოვებულია ნომრები:
ა) ანაწერების შემაჯამებელ ჩანაწერებში აღურიცხავი

———————————————————————— საქმის;
(ციფრებითა და სიტყვებით)

ბ) ჩამოუთვლელი, მაგრამ ანაწერების შემაჯამებელ ჩანაწერებში აღრიცხული

———————————————————————— საქმის.
(ციფრებითა და სიტყვებით)

5. სხვა ფონდების კუთვნილი არასწორად დადებული
———————————————————————— საქმე.
(ციფრებითა და სიტყვებით)

6. ადგილზე აღმოჩნდა ამ ფონდის მიხედვით (ანაწერებში შეტანილი)

———————————————————————— საქმე.
(ციფრებითა და სიტყვებით)

7. ანაწერის გარეშა ———————————————————— საქმე.
(ციფრებითა და სიტყვებით)

8. სულ ამ ფონდის მიხედვით (ანაწერებში შეტანილი და ანაწერების გარეშე)

ადგილზე არის ———————————————— საქმე, მათ შორის:
(ციფრებითა და სიტყვებით)

ა) ———————————————————— საქმეს ესაჭიროება დეზინფექცია;
(ციფრებითა და სიტყვებით)

ბ) ———————————————————— საქმეს ესაჭიროება დეზინსექცია;
(ციფრებითა და სიტყვებით)

გ) ———————————————————— საქმეს ესაჭიროება რესტავრაცია;
(ციფრებითა და სიტყვებით)

დ) ———————————————————— საქმეს ესაჭიროება აკინძვა და ჩაკერება;
(ციფრებითა და სიტყვებით)

ე) ———————————————————— საქმეს ესაჭიროება ქრობადი ტექსტის აღდგენა;
(ციფრებითა და სიტყვებით)

ვ) ———————————————— საქმე გამოუსწორებლად დაზიანებულია;
(ციფრებითა და სიტყვებით)

ზ) ————————————————— საქმეს ესაჭიროება ტექ. დამუშავება;
(ციფრებითა და სიტყვებით)

თ) —————————————— საქმე გაცემულია დროებით სარგებლობაში.
(ციფრებითა და სიტყვებით)

9. დოკუმენტების მდგომარეობისა და შენახვის პირობების ზოგადი დახასიათება. მათი მდგომარეობისა და შენახვის პირობების ძირითადი უარყოფითი მოვლენები.

დანართი: საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების ფურცელი (ფურცლები) (№...).

შემოწმებას ატარებდნენ:
თანამდებობის დასახელება ხელმოწერები ხელმოწერების
თარიღი გაშიფვრა

ფორმატი ა4 (210X297მმ)

ფონდის საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების აქტის ფორმა

*დანართი №23*

